პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 185 (13270) | შაბათი, 7 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

# შვიდწლედი — ვადამდე

## მანქანათმშენებელთა გამარჯვება

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოებმა, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, შვიდწლედის დამამთავრებელი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და შვიდი თვის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თბილისის ს. ორჯონიკიძის, 26 კომისრის სახელობის, ქუთაისის საავტომობილო და მცირეგაბარიტიან სატრაქტორო ქარხნებმა.

მანქანათმშენებლებმა რთული რელიეფის პირობებისათვის წელს პირველად გამოუშვეს ჩაის საკრეფი 10 ახალი მანქანა, რომლის საკრეფი აპარატი მოთავსებულია სამთვლიან ტრაქტორზე. საამისოდ ტრაქტორი გამოუშვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ, ხოლო ჩაის საკრეფი აპარატი დაამზადა 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივმა.

ჩაის საკრეფი მანქანები ახლა გამოცდას გადიან ლაითურისა და ინგირის პლანტაციებში.

## შრომითი პატაქები

△ **ქუთაისის** ბამბის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც მონდომებით შრომობს შვიდწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა შესრულებისადმი, განვლილ შვიდ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვება გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 16.800 მეტრი ქოროული ტილოს [illegible] წელს ფაბრიკამ საავეჯო წარმოებისათვის ახალი [illegible] ათასი ეითვისა.

△ **ქარგი** მაჩვენებლით აღინიშნა შვიდი თვის საწარმოო გეგმის შესრულება თბილისის გრებილი ავეჯის ფაბრიკაში. მეავეჯეებმა შვიდი თვის გეგმის გადამეტებით 44 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

△ **რუსთავი.** (საკ. კორ.). ცემენტის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც იქვს წელიწადში შეასრულა შვიდწლიანი გეგმა, მორიგ წარმატებას მიაღწია. ცემენტის მარკიანობის სისტემატური ამაღლებით იულისის საწარმოო დავალება 105 პროცენტით გაანაღდა. წარმატებით იქნა შესრულებული როგორც ცემენტის, ისე კლინკერის, სამშენებლო ფიბროლიტისა და კრამიტის წარმოება.

# ადამიანის ჯანმრთელობას — მეტი გულისხმიერება

ხალგაზრდა დედას გ. ნამგალაძეს არასდეს არ დავიწყდება ის დიდი ამაგი, რომელიც მის ოჯახს თბილისის პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა ა. კვეზერელ-კოპაძემ დასდო.

ეს მოხდა სოფელ გალავანში (მცხეთის რაიონი) ამ რამდენიმე კვირის წინათ. ნამგალაძეს ავად გაუხდა ერთადერთი შვილი, ხუთი თვის გოგონა. ბავშვი მძიმე მდგომარეობაში იყო, მშობლებმა თითქმის იმედი დაკარგეს. სწორედ ამ დროს სოფელში სამედიცინო პრაქტიკული დახმარების გასაწევად ჩავიდა ექიმი კვეზერელი-კოპაძე. მან გასინჯა ბავშვი და როცა დარწმუნდა, რომ ადგილზე მისი მკურნალობა შეუძლებელი იყო, გოგონა სასწრაფოდ გადმოიყვანა პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სტაციონარში სამკურნალოდ. მიღებული გონივრული და აქტიური ზომების შედეგად პატარა გოგონა სიკვდილს გამოსცდა.

პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივისათვის ეს პირველი შემთხვევა არ არის. აქ ბევრ ბავშვს შეუნარჩუნეს სიცოცხლე. ინსტიტუტის ექიმები ხშირად დადიან რესპუბლიკის შორეული რაიონების სოფლებში ბავშვთა ჯანმრთელობის შესასწავლად, ახალგაზრდა ექიმების დასახმარებლად, საკმარისია ითქვას, რომ მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის სოფლებში შეისწავლეს და შეამოწმეს 4.122 ბავშვის ჯანმრთელობა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს სამედიცინო ინსტიტუტისა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზით რაიონებში მოსახლეობის ჯანმრთელობის შესასწავლად მიდიან კომპლექსური ბრიგადები, შეფობას უწევენ რაიონებსა და სოფლებს. ეს უსათუოდ კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ცუდია ის, რომ ექიმთა გასვლა რაიონებში უფრო კამპანიურ ხასიათს ატარებს, მათი დახმარება ნაკლებ ეფექტურია. ჯანმრთელობის სამინისტრომ უნდა გითვალისწინოს ეს, და კვალიფიციურ ექიმთა მიგლინებანი უფრო ხშირად მოაწყოს იმ რაიონებსა და სოფლებში, სადაც ნაკლები კვალიფიკაციის ექიმები გვყავს, სადაც სასოფლო საუბნო საავადმყოფოები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ.

სოფლის მოსახლეობის ხასიდციონმომსახურების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი ადგილი მაინც სოფლის საუბნო საავადმყოფოებსა და ამბულატორიებს უჭირავთ. იქ, სადაც აღნიშნული უბნები კარგად მუშაობენ, მოსახლეობისთვის დაავადებაც გაცილებით ნაკლებია.

რესპუბლიკაში უკვე კარგად არის ცნობილი გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს საუბნო საავადმყოფოს (მთავარი ექიმი ვ. ჯიქია) მუშაობა. აქ უყველაფერი მოწყობილია მედიცინის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მოსახლეობაში კარგად არის დაყენებული სამედიცინო პროფილაქტიკური მუშაობა. ექიმების დიდი უმრავლესობა ფლობს მონათესავე პროფესიებს, რაც დიდად ეხმარება მათ მუშაობაში. მთელი კოლექტივის გონივრულმა და მონდომებულმა შრომამ კეთილსასურველი ნაყოფი გამოიღო. 1965 წლის პირველი ინვრისათვის საავადმყოფოს სამოქმედო რაიონში დაავადებათა რიცხვი საერთო რესპუბლიკურთან შედარებით თითქმის სანახევროდ შემცირდა, გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობა.

ამ საუკეთესო წარმატებებისათვის საავადმყოფოს კოლექტივს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი გადწყვეტილებით კომუნისტური შრომის კოლექტივის სატიტო წოდება მიენიჭა.

ეს კარგია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრი სასოფლო საუბნო საავადმყოფო და ამბულატორია ვერ დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე, ზოგიერთი ექიმი უგულოდ ეკიდება ამ საპატიო მოვალეობას, ჩაშლილია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმე. მაგალითად, ახმეტის რაიონის სოფელ დღუნის ამბულატორია სუსტად ეწევა დედათა და ბავშვთა გამაჯანსაღებელ მუშაობას, რის გამო სამოქმედო უბანში ხშირია ბავშვთა დაავადება, აგრეთვე ბინაზე მშობიარობის შემთხვევები. ახლითავ მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონის სოფელ კახალის საექიმო უბანში.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაუდებელი ამოცანაა უფრო ოპერატიულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელოს მედიცინის ფრონტის მუშაკებს, ფართოდ გაავრცელოს მოწინავე საუბნო საავადმყოფოების მუშაობა, აამაღლოს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მეტი ყურადღება მიაქციოს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ხშირად მიავლინოს გამოცდილი ექიმები სასოფლო საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებში მკურნალობის ახალი მეთოდების დასანერგავად, ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების განუწყვეტელი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პირობაა ახალი საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, დისპანსერების, სამშობიარო სახლებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებათა წარმატებით მშენებლობა და დროზე საექსპლოატაციოდ გადაცემა. ეს მშენებლობა კი ჩვენს რესპუბლიკაში კვლავ ჩამორჩება ჯანმრთელობის დაცვის გადიდებულ მოთხოვნებს.

ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ამჟამად რესპუბლიკის საავადმყოფოებში არსებულ საწოლთა რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას სტაციონარული მკურნალობის დარგში. სულ რესპუბლიკის საავადმყოფოებში ჯანმრთელობის სამინისტროს ხაზით 34.776 საწოლია, ყოველ 10.000 სულ მოსახლეზე საშუალოდ 77— ეს კი საერთო-საკავშირო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის გეგმები წლითიწლობით არ სრულდება. შარშან ეგმით გათვალისწინებული 1.210 საწოლის ნაცვლად მწყობრში ჩადგა მხოლოდ 630. შეუწყნარებლად ჭიანურდება ქალაქ სოხუმის 250-საწოლიანი, გორის 120-საწოლიანი საბავშვო, ჯავის 50-საწოლიანი, ახალქალაქის 100-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, მისი სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების მუშაკებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ სახალხო ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილ ასიგნებათა აუთვისებლობა და საავადმყოფოების მშენებლობის გაჭიანურება დიდი დანაშაულია ხალხის წინაშე.

სამედიცინო დაწესებულებათა მთელ საქმიანობას საფუძვლად უდევს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის პროფილაქტიკური პრინციპი. სოფლის მედიცინის მუშაკთა ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ შეისწავლონ მოსახლეობის ზრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, ხელი შეუშალონ დაავადებათა წარმოშობას. წინასწარ მიიღონ გადამჭრელი ზომები. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლების სანიტარული კულტურის ამაღლებას. ბევრი მათგანი უკანასკნელ წლებში მთლიანად შეიცვალა, გალამაზდა, გასუფთავდა, კეთილმოწყობილი გახდა. მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი დასახლებული პუნქტები, სადაც სანიტარული კულტურა არა დგას ჯეროვან დონეზე. მისი ამაღლებისათვის, დაავადების შედგომი შეგროვებისათვის თვალსაჩინო როლი ეკუთვნის სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ბევრი მათგანი შეურიგდა დანგვიანებულ ეზოებსა და საამქროებს, ჰუჭუს მუშათა დაბებში, სოფლებში. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში თავიანთი როლი უნდა გააძლიერონ წითელი ჯვრის ორგანიზაციებმა, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ ასი ათასობით მშრომელს. ამოცანა ის არის, რომ ეს საზოგადოებები გახდნენ კიდევ უფრო მასობრივი, რომ მათი საქმიანობა მაქსიმალურად უწყობდეს ხელს სანიტარული კულტურის ამაღლებას, ხამედიცინო ცოდნის ფართოდ გავრცელებას.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებებისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა აკისრიათ შრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს. ნორმალურად არ შეიძლება მივიჩნიოთ, როცა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაცია ივიწყებს, რომ საბჭოთა მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა მათი უპირველესი მოვალეობაა.

კომუნისტურ პარტიას თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომლად ზრუნავდეს მშრომელთა სულ უფრო მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა შემდგომ გააუმჯობესონ შრომელთა სამედიცინო მომსახურება, დაეხმარონ მედიცინის მუშაკებს დაიცვან საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობა.

# გვირაბმშენებელთა მშენებლის დღის შესახვედრად ახალი ვალდებულებები

**თბილისის** მშრომელები შვიდწლედის უკანასკნელ წელს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საჩუქარს მიიღებენ, წლის დასასრულს მიწისქვეშა მაგისტრალის მშენებელთა კოლექტივი საექსპლოატაციოდ გადასცემს თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის ხაზს, რომლის სიგრძე ათ კილომეტრს აღემატება.

დიდუბე — ელექტროდეპო — ოქტომბრის ქუჩა — ვაგზალი — მარჯანიშვილის მოედანი — რუსთაველის პროსპექტი — მიწისქვეშა მაგისტრალით შეუერთდებიან ერთმანეთს.

შემდეგ კი მთელი ყურადღება დაეთმობა მეორე რიგის ხაზის გაყვანის სამუშაოებს. ლენინის მოედნიდან მეტროს ხაზი გაემართება 26 კომისრის რაიონში, იქიდან კი 300 არაგველის მოედნისაკენ.

თბილისელი გვირაბმშენებლები ჩქარობენ. მაგრამ მკვიდრად აშენებენ. მეტროს პირველი რიგის ხაზზე დამთავრდა მიწის და ბეტონის სამუშაოები, დასასრულს უახლოვდება კიდლებისა და სადგურების მოპირკეთება. ლიანდაგი დაგებულია ხუთ კილომეტრზე, ეს სამუშაო სწრაფი ტემპით წარმოებს, სამგზავრო გადგონებს კი მოსკოვიდან ელეან მშენებლები. მიუხედავად იმისა, რომ გვირაბგამყვანებს მეტად რთულ რელიეფურ პირობებში უხდებათ მუშაობა, შეძლეს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების განსაზღვრულ ვადებში დამთავრება. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შვიდი თვის დავალება შესრულებულია 105,3 პროცენტით. შესრულებულია 240 ათასი კუბმეტრი ბეტონისა და 790 ათასი კუბურმეტრი მიწის სამუშაოები.

ვეცნობით გვირაბგამყვანთა ტ. ლეკვინიძის, ნ. ლუბოვსკის, კ. ბლიაძის, ს. აზნაუროვის, პ. ჩუპრიკოვის და სხვათა კომუნისტური შრომის ბრიგადების საქმიანობას. ყოველდღიური დავალების 10-15 პროცენტით გადაჭარბება — ასეთია მათი მაჩვენებელი.

ახალი პირსპექტივებია დასახული მეტროპოლიტენის მშენებელთა კოლექტივის წინაშე. წელს დაიწყება ხაზის მშენებლობა საბურთალოს ახალ რაიონში — რკინიგზის სადგურიდან სპორტის სასახლის გავლით, ვაჟა-ფშაველას პროსპექტამდე. სასტუმრო „აფხაზეთთან“ მოეწყობა მეტროს სადგური. ხოლო 26 კომისრის რაიონში შაქმანის მოედნიდან მეტროს ხაზი გაგრძელდება ნავთლუღის შესამე მასივის დასახლების რაიონში.

შემდეგ კი კვლავ ახალი სამუშაო მოელით თბილისელ მეტროშენებლებს.

ამ დღეებში გაიმართა თბილისის გვირაბშენებელთა კოლექტივის საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა შენებელთა დღესასწაულისადმი მიძღვნილ ახალ სოციალისტურ ვალდებულებათა საკითხს. კრებამ გადაწყვიტა:

**სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 1965 წლის გეგმა შესასრულონ 15 დეკემბრისათვის;**

**მეტროპოლიტენის პირველი რიგის ხაზის მშენებლობა, სადგურ დიდუბიდან რუსთაველის პროსპექტის ჩათვლით, დაამთავრონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 25 დეკემბერს;**

**განსაკუთრებული ყურადღება მიაქცონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს. საექსპლოატაციოდ გადასაცემი ყველა ობიექტი ჩაიბარონ მხოლოდ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით;**

**8 აგვისტოსათვის დაამთავრონ იმ გვირაბის ჰიდროიზოლაციის სამუშაოები, რომელიც ვაგზლის სახელს ატარებს.**

**რუსთაველის სახელობის სადგურში 10 ოქტომბრისათვის დაამთავრონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ ექსკალატორი.**

**სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ბრიგადა**

**სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ბრიგადა**

**სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ბრიგადა**

**ბრიგადა**

**ბრიგადა**

**

# საერთაშორისო ცხოვრება

## ისრაელის კომპარტიის ყრილობა

**ტელ-ავივი**, 5 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაიხსნა ისრაელის კომუნისტური პარტიის XV ყრილობა, რომელზეც ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა გენერალურმა მდივანმა ს. მიკუნისმა.

„ჩვენი პროგრამა, — თქვა მან, — მშვიდობის, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის პროგრამაა, სოციალური პროგრესისათვის, მუშათა კლასის უფლებებისათვის დამცველის პროგრამაა“.

თავის მოხსენებაში მიკუნისმა აღნიშნა, რომ პარტიაში შეიქმნა ვილნერტუბის ფრაქცია და დაახასიათა იგი როგორც „სექტანტური და დოგმატური ფრაქცია, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება პარტიის გენერალურ ხაზს“.

მიკუნისი შეეხო საერთაშორისო ვითარებას და აღნიშნა: საერთაშორისო მდგომარეობა გამწვავდა იმის შედეგად, რომ ამერიკა აგრესიას სჩადის ვიეტნამისა და მსოფლიოს სხვა რაიონების მიმართ. მან განაცხადა, რომ ისრაელი ხალხი მოითხოვს ამერიკამ გაიყვანოს მთელი ჯარები ვიეტნამიდან.

შემდეგ მიკუნისმა თქვა, რომ ისრაელის მთავრობის თანამშრომლობა დასავლეთ გერმანიასთან ეწინააღმდეგება ისრაელი ხალხის ინტერესებს.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ ისრაელში მცხოვრები არაბი ხალხის ყველა უფლებას — თქვა მიკუნისმა, — და მხარს ვუჭერთ არაბთა ქვეყნების მთელ პროგრესულ ძალებს“. ყველა ტერიტორიული დავა, დასძენდა მან, მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას.

## ეკვადორელ კომუნისტთა მოწოდება

**ჰავანა**, 5 აგვისტო. (საკდესი). ეკვადორის კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ამ ქვეყნის პროგრესულ ძალებს ყველაფერი იღონონ, რომ „დაამხონ სამხედრო დიქტატურა და შექმნან ხალხური, დემოკრატიული და პატრიოტული მთავრობა“. როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, კომპარტიის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ხუნტის დამხობა პროგრესისა და სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის ერთადერთი გზაა.

„დრო გავალიერთო ჩვენი მოქმედება და ბოლო მოვუღოთ დიქტატურას, — აცხადებენ კომუნისტები. — გავერთიანდეთ დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად. დრო ვიბრძოლოთ უკეთესი ხვედრისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“.

**განცხადება აგრეთვე მოუწოდებს პროგრესულ ძალებს გააძლიერონ ბრძოლა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენისა და აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის.**

## გემი „მეგობრობა“

**ბუდაპეშტი**. ამ დღეებში უნგრეთის გემთაშენებელი და ამწეთსაშენებელი ქარხნის ნავთსადგომიდან დუნაიზე საცდელ რეისში გავიდა ორბანიანი სამგზავრო გემი „მეგობრობა“. გემი, რომელიც აშენებულია ჩეხოსლოვაკის შეკვეთით, გათვალისწინებულია 250 მგზავრისათვის. ეს არის 48-ე სამგზავრო გემი, რომელიც წყალში ჩაუშვა ქარხნის ბუდაპეშტის ფილიალმა. მომავალში ქარხანას დაგეგმილი აქვს გამოუშვას უფრო მძლავრი საზღვაო გემები.

როგორც გაზეთი „ნეპსაბადშაგი“ წერს, უნგრეთის გემები ამჟამად დგზავნება მსოფლიოს 30 ქვეყანაში და გემებს საზღვარგარეთ კარგი რეპუტაცია აქვთო. ქარხანა შეკვეთებით დატვირთულია 1970 წლამდე. (საკდესი).

# პოლემიკა

## კვიპროსის საკითხზე

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი**, 6 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ყველა წევრი კვიპროსის საკითხზე ბჭობდა.

საბჭოს სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. დ. მოროზოვი. მან კვლავ ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ პრობლემაზე, რომელსაც უკვე წელიწადნახევარზე მეტია, განიხილავს საბჭო. საბჭოთა დელეგაციას საქციროდ მიაჩნია, განაცხადა ა. დ. მოროზოვმა, მოგაგონოთ და დაგიდასტუროთ ძირითადი პრინციპები დებულებანი, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ კვიპროსის საკითხის განხილვისას. კვიპროსის რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სუვერენული სახელმწიფოა. ამის შესაბამისად საბჭოთა კავშირი მოითხოვდა და მოითხოვს კვიპროსის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ რ. ჯეკლინგმა, რომელიც გამოვიდა როგორც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, თქვა, რომ კვიპროსის ვითარება მხოლოდ გართულდება თუ მიღებულ იქნა კანონები ამ ქვეყნის პრეზიდენტის, წარმომადგენლთა პალატის რწმუნებათა ვადის გაგრძელებისა და საარჩევნო სისტემის შეცვლის შესახებ. რ. ჯეკლინგი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ კვიპროსისა და ეგრეთწოდებული გარანტი სახელმწიფოების (ინგლისის, თურქეთისა და საბერძნეთის) შეთანხმება, რომელიც კვიპროსის დამოუკიდებლობის გამოცხადებისას დაიდო, უფლებამოსილია. ისიც უნდა ითქვას, რომ კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრმა კიპრიანუმ წარსულ სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, ამ ხელშეკრულებას არა აქვს კანონის ძალა, რადგან კვიპროსისათვის ძნელ პირობებში დაიდო.

ჩ. იოსტმა (ამერიკის შეერთებული შტატები) ამ საკითხში მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს. მან ზოგადად ილაპარაკა და მოუწოდა მხარეებს გამოიჩინონ თვდაკეკრილობა და კეთილი ნება. საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟ. ტინმა მოითხოვა, რომ უშიშროების საბჭომ დაადასტუროს თავისი ის რეკომენდაციები ამ პრობლემის შესახებ, რომლებსაც შეიცავს საბჭოს შეგადგენილი რეზოლუცია. მან „მოუწოდა დაინტერესებულ მხარეებს თავი შეიკავონ და არა თუ არ გამოიყენონ ძალა, არამედ მისი გამოყენების მუქარასაც კი არ მიმართონ.

ერთი მხრივ თურქეთის და მეორე მხრივ კვიპროსისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა თავიანთი გამოსვლებში ძირითადად ერთმანეთს გადაბარალეს შექმნილი ვითარება. მათს პოლემიკას ზოგჯერ ცხარე ხასიათი ჰქონდა, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ როგორ რთულია თურქთა და ბერძენთა თემების ურთიერთობა კვიპროსში. ზოგიერთი საყურადღებო მომენტი აღნიშნა თურქეთის წარმომადგენელმა ო. ერალპმა. დამაკვირებელი იყო კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. კიპრიანუს მომართვა გარკვეული უცნო სახელმწიფოებისადმი, რომ ბოლოს და ბოლოს მოეშვან კვიპროსს, რათა მან თვითონ განაგოს თავისი საქმენი.

საბჭოს შემდეგი სხდომა განსახილველი პრობლემების გამო დანიშნულია 9 აგვისტოს.

**ვიეტნამში** ამერიკელ იმპერიალისტთა მოქმედება მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანთა გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. „მშვიდობა ვიეტნამს!“ — დაწერილია ფარზე ბრეტანის (საფრანგეთი) ერთ-ერთი ავტომაგისტრალის პირას. გამოფურკვეველია, ვინ დაწერა ეს სიტყვები. მაგრამ უეჭველია, რომ ამ სიტყვებში გამოვლინდა რგოვნთა ფრანგების უმრავლესობის დამოკიდებულება ამე რიკის შეერთებული შტატების აგრესიისადმი ვიეტნამში.

ფოტო გ. ზელმისა. (ასს).

## ახალი ხუთწლედის შესახებ

**პრაღა**. შემუშავებულია ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტი მომავალი მეხუთე ხუთწლედისათვის (1966-1970 წლები). როგორც გეგმით არის გათვალისწინებული, ახალ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გასულ წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 14,6 პროცენტით. სასაქონლო პროდუქცია ხუთი წლის მანძილზე გადიდდება 21,5 პროცენტით.

მომავალ ხუთწლედში მთავარი ყურადღება დაეთმობა მარცვლისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყოველმხრივ მექანიზაციის, წარმოების ინტენსიფიკაციისა და ქიმიზაციის საფუძველზე.

## დასავლეთის დახმარებით

**ლონდონი**, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს პრეტორიის მახლობლად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული მთავრობის მეთაურმა ფერვურდმა ოფიციალურად გახსნა პირველი ატომური რეაქტორი. ეს ურანის ქვაბი, რომელსაც „საფარი-1“ ეწოდა, ამერიკის „ელის ჩალმერსის“ კომპანიამ აშენა პელინდაბში და, როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, თითქმის 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ სამხრეთაფრიკელ გადასახადის გადამხდელთ.

რეაქტორის გახსნის დიდებულ ცერემონიას დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და ავსტრალიის ატომისტები. შეკრებილთ სიტყვით მიმართა ფერვურდმა. მან განაცხადა, „საფარი-1“ ექსპლოატაციის დროს მიღებულ ყველა მონაცემს „მშვიდობისა და აფრიკის ჩვენსავით პატარა ერების ინტერესებისათვის გამოვიყენებთო“.

მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ფრაზამ მოადუნოს აფრიკის ხალხთა სიფხიზლე. ახლა უკვე ყველამ იცის, რომ სამხრეთაფრიკელი რასისტები ცდილობენ შექმნან საკუთარი ატომური იარაღი, რათა განადგურებით ამენაცვლონ აფრიკის ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც მბარს უჭერენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 11 მილიონიან აფრიკელი მოსახლეობის მგრძელ ბრძოლას თავისუფლებისათვის. როგორც ცნობილია, ასეთი იარაღის საწყის მასალად გამოდგება ატომურ რეაქტორებში მიღებული დაშლის პროდუქტები, კერძოდ ურანის იზოტოპები.

ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოთა დახმარებით ფერვურდის ხროვამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა „დაშინების საკუთარ საშუალებათა“ შექმნის გზაზე.

## ახალი ხელმძღვანელი

**ბერლინი**, 5 აგვისტო. (საკდესი). გაეროს საბჭოს ეზრდება გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვი, რომელიც უკანონოდ არის აკრძალული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

არალეგალური საქმიანობის ძნელი პირობების მიუხედავად, განვლილი ცხრა წლის მანძილზე პარტიის რიგებს შეემატა ბევრი ახალი მებრძოლი. ამასთან დასავლეთ გერმანიაში ძლიერდება მოძრაობა კომუნისტური პარტიის ლეგალურობის აღდგენისათვის.

## ახალი პროვოკაცია

**კაირო**, 6 აგვისტო. (საკდესი). **როგორც მენის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქ სანიდან იუწყება, 4 აგვისტოს დილით ინგლისის ოთხმოტორიანი სამხედრო თვითფრინავი შეიჭრა იემენის არაბთა რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში და დაზვერვის მიზნით თავს დასტრიალებდა ქალაქ ჯიტბასს (იემენისა და სამხრეთ არაბეთის ფედერაციის საზღვარი).**

## კატრიოტები უტევენ

**ნიუ-იორკი**, 5 აგვისტო. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტებმა დღეს ნაღმსატყორცხის ცეცხლი დაუშინეს მარიონეტული არმიის რიმდენიმე დიდნაშენ ლოგოვან დასაყრდენ პუნქტს. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაგეტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, სამხრეთ ვიეტნამის ჯარები დიდად დაბარალდნენ იმის შედეგად, რომ პატრიოტებმა ცეცხლი დაუშინეს დაკ-ლონგისა და ვი-თხანის სამხედრო საგუშაგოებს, რომლებიც 185 და 177 კილომეტრზე მდებარეობენ საიგონის სამხრეთ-დასავლეთით. ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე ლონგ-მაის სამხედრო საგუშაგოს, რომელიც ვი-თხანის მახლობლად მდებარეობს.

## ბარბაროსული აქტები

**მოგადიშო**, 6 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის სომალის განთავისუფლების ფრონტმა დეპეშები გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის „9 ქვეყნის კომიტეტს“. დეპეშებში პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის კოლონიური ხელისუფალნი კვლავ სჩადიან ბარბაროსულ აქტებს კოლონიის უმწეო მოსახლეობის მიმართ. ფრანგმა ხელისუფლებმა, ნათქვამია დეპეშებში, საფრანგეთის სომალის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის გასწვრივ მაუთულლართები გააბეს, და მაღალი ძაბვის დენი გაუშვეს. ამის შედეგად წარსულ კვირაზე ცხრამეტი კაცი დაიხოცა.

# შეწყდეს ბინაქარმოი — ამბობს ხიროსიმა

**ხიროსიმა**, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს ხიროსიმის ცენტრში უზარმაზარ მოედანზე გაიმართა ხიროსიმის მცხოვრებთა და მშვიდობის მარშების მონაწილეთა მიტინგი, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ, რათა აღნიშნონ იაპონიაში ამერიკის ატომური ბომბების ფეთქების მე-20 წლისთავი. შეკრებილნი მეუბარე ტაშით შეხვდნენ იაპონიის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის ნარიტის სიტყვას. მან განაცხადა, რომ ვიეტნამის საკითხი თვით ვიეტნამელებმა უნდა გადაჭრან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ იაპონიის ტერიტორიის გამოყენება ვიეტნამის ომისათვის.

მიტინგზე გამოვიდნენ პროფკავშირთა გენერალური საბჭოს წარმომადგენელი და სხვა ორატორები, რომლებმაც მოუწოდეს მთელ იაპონელ ხალხს, მსოფლიოს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს დაიცვან მშვიდობა ქვეყნაზე. [illegible] ამერიკელ [illegible] ბული შტატების [illegible] ვიეტნამში [illegible] ამერიკელებმა გააუქმონ სამხედრო ბაზები იაპონიაში, დაუბრუნონ იაპონიას ოკინავა.

მიტინგის დასასრულს შეკრებილებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს მოწოდება, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი ვიეტნამში. [illegible] ბოლოს, ჩეკოსლოვაკიის, [illegible] ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ხიროსიმაში ჩამოვიდნენ.

მიტინგის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ უცწოელ სტუმრებს.

## გენერალი — ელჩი ანგარიშს აბარებს

**ვაშინგტონი**, 6 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა გამართა უშიშროების ეროვნული საბჭოს სხდომა ამ სხდომაზე სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობა მიმოხილა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა საიგონში გენერალმა ტეილორმა. როგორც თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა მოიერსმა თქვა, ტეილორმა სხდომაზე წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი. ყველაფერი მოწმობს, რომ ეს წინადადებანი შეეხება ამერიკის აღრესის შემდგომ გაფართოებას სამხრეთ ვიეტნამში.

# ქარმა გაფანტა უძლეველობის მითი

**კანო**, 6 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ განცხადება გამოაქვეყნა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი წელი სრულდება, რაც ამერიკის ავიაცია პირველად დაესხა თავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ამ განცხადებაში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა, გაანალიზებულია ვიეტნამის ორივე ნაწილის სამხედრო მდგომარეობა, რაც იმის შედეგად შეიქმნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ადიდებს შეიარაღებულ ძალებს სამხრეთ ვიეტნამში და აფართოებს ვიეტნამში აგრესიულ ომს. განცხადებაში აღნიშნულია ვიეტნამის სახალხო არმიისა და სამხრეთ ვიეტნამის სახალხო ფრონტის ბრძოლა ერთსულოვნად დაამტკიცეს მოწოდება, რომელიც ტნამის განთავისუფლების არმიის მეომრებს სახელოვანი საბრძოლო საქმენი.

400-ზე მეტი თანამედროვე ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს ჩვენი არმიის საზენიტო ნაწილებმა, ნათქვამია განცხადებაში. მთელ მსოფლიოში „ქარმა გაფანტა მითი ამერიკის ავიაციის უძლეველობის შესახებ.

განცხადების დასასრულს უმაღლესი სარდლობა მოუწოდებს სახალხო არმიის ყველა ოფიცერსა და რიგით მებრძოლს განავითარონ რევოლუციური გმირობის სულისკვეთება, პატრიოტიზმი და სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, მიბაძონ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებსა და ხალხს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, გამამტკიცონ არმიისა და ხალხის სოლიდარობა, რათა შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

## ბანიარაღების პრობლემა

### 18 სახელმწიფოს კომიტეტში

**ჟენევა**, 5 აგვისტო. (საკდესი). სხდომის თავმჯდომარემ ფოსტერმა (ამერიკის შეერთებული შტატები) 18 სახელმწიფოს კომიტეტის ღღევანდელი სხდომის გახსნის დროს კომიტეტის სახელით წაიკითხა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ორი წელი შესრულდა, რაც ხელი მოაწერეს მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ.

ამ განცხადებაში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის ხელშეკრულებას, რომელსაც თავდაჯერებულად ხელი მოაწერეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა და, რომელსაც შემდეგ შეუერთდა 100-ზე მეტი სახელმწიფო. 18 სახელმწიფოს კომიტეტი ამ განცხადებაში ხაზს უსვამს აგრეთვე, რომ ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯის შემდეგ შემდგომი წარმატებები უნდა იქნეს მიღწეული განიარაღების მიმართულებით.

შემდეგ სიტყვა აიღო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატმა კარლო ლუკანოვმა, რომელმაც თქვა, რომ კომიტეტმა სამართლიანად აღნიშნა მოსკოვის ხელშეკრულების დადების მეორე წლისთავი. ბულგარეთია წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, უნდა გავიხარეოთ და დაუყოვნებლივ გადაეკრთ ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის პრობლემაო. მან დამსწრეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ნატოს მოგალმხრივი ატომური ძალების შექმნას, რა ფორმითაც უნდა მოხდეს ეს, თან მოაჩვენა ატომური იარაღის გავრცელება.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტის ახლანდელ სესიაზე დასავლეთის სახელმწიფოებმა თან მოიტანეს წინადადებათა ძველი მარაგი, რომელიც ხელს ვერ შეუწყობს განიარაღების საკითხებზე ეფექტის მოლაპარაკების პროგრესს. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ვიეტნამში, გახაცადა კ. ლუკანოვმა, აუარესებს იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელიც საქმიანობა განახლა 18 სახელმწიფოს კომიტეტმა.

გენერალმა ბერნსმა (კანადა) დაიცვა „მოვალმხრივი“ თუ „ატლანტიკური“ ატომური ძალების შექმნის გეგმები. ოფიციურად მან გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა თეზისები, რომლებიც მათ ჩამოაყალიბეს 18 სახელმწიფოს კომიტეტის წინა ორ სხდომაზე.

18 სახელმწიფოს კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება 10 აგვისტოს.

## ჰაერის გამყიდველნი

„ჰაერის გამყიდველებს“ ეძახიან ზოგჯერ იმ ადამიანებს, რომლებიც უტიფრად ცდილობენ მოატყუონ თავიანთი მოძმენი, მიჰყიდონ მათ არარსებული ფასეულობანი. ფრანგი პარიკმახერი ჟაკ დესანეი დადებითად განსხვავდება ასეთი სინდისდაკარგული სპეკულანტებისაგან. იგი გულახდილად აცნობებს მყიდველებს, რომ ვაჭრობს ჰაერით, ამასთან ჩვეულებრივი ჰაერით კი არა, რომლითაც შეგიძლიათ უსასყიდლოდ ისუნთქოთ, სადაც და როცა მოგესურვებათ, არამედ სამხრეთ საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე ფეშენებელური კურორტის სენ-ტროპეცის ჰაერით. და, წარმოიდგინეთ, იმის მსურველი, რომ შეიძინოს კონსერვის ცარიელი ქილა ლამაზი ეტიკეტით „სენ-ტროპეცის ჰაერი“, უამრავია. ვისაც შესაძლებლობა არა აქვს კურორტზე წავიდეს, ის თუნდაც ცოტაოდენ ზღვის ჰაერს სჯერდება, — თვითონაც ისუნთქავ და მეგობრებსაც გაუმასპინძლდები...

**გაზეთი „ფიგარო“ ჭეროვნად აფასებს დესანეის ფხიანობას და ურჩევს მას გააფართოოს წარმოება, რაკი ასეთი საქონელზე მოთხოვნილებაა. აიღოს და დაიწყოს ვაჭრობა, მაგალითად, პარიზის ჰაერით, რომელსაც გაზაფხულის საღამოს „შეაგრავებს“ სადმე დიდ ბულვარებზე ან ელისეის მინდვრებზე, და ბაზარზე გაიტანოს ცარიელი ქილების პარტია მიმნიდველი წარწერით: „ჩვენი სხვაქალაქელი და საზღვარგარეთელი მეგობრებისათვის. გახსენით მხოლოდ მოწყენილობის მომენტში“?**

**ფუნი სიცარიელისათვის, — რა ამოუწურავ შესაძლებლობებს შეიცავს ახალი ბიზნესი!**

# ეზიური ველის კონტრასტები

### წერილი ყიზლარიდან

**მხატვრის** უბადლო ფუნჯით მოხატულ ტილოსა ჰგავს კასპის-პირეთის ველები. ზამთრის სამოვრების სამშართველოში თავი მოუყრიათ დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ რაიონების წარმომადგენლებს., რომელთა ცხვრის ფარები წლების მანძილზე ნოღაეთის ველებზე იზამთრებს ისინი აქ მოსულან იმისათვის, რომ მიჩენილ მასივებზე დროულად დაამთავრონ ბალახის თიბვა, მტკიცე საკვები ბაზა შეუქმნან პირუტყვს. ყიზლარის უკიდეგანო ველი ხომ მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია.

წელს აქ პირუტყვისათვის 600.000 ცენტნერამდე თივა უნდა დაამზადონ, 20-ზე მეტი ახალი ფარეხი და მწყემსთა საცხოვრებელი ბინა უნდა აშენონ. ადგილზე შესწავლილმა ფაქტებმა დაადასტურა, რომ პირუტყვის საკვები ბაზის შექმნაში, ფარეხებისა და მწყემსთა სადგომი ბინების მშენებლობაში ყველაფერი რიგზე არ არის.

**ჩრდილოეთ** კავკასიის საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსმა მ. გილაშვილმა გვითხრა: ყიზლარის ველზე ჩვენი რესპუბლიკის ექვსი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 500.000 ცხვარი და 10.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იზამთრებს. ერთი ცხვრისათვის ცენტნერნახევარი თივა უნდა დამზადდეს.

გასული წლის ზამთარი მკაცრი იყო. თივის შექმნილი მარაგი მთლიანად ავითვისეთ. დიდი რაოდენობით დაიხარჯა კომბინირებული საკვები. წელს მარტო დუშეთის, ყაზბეგისა და ლენინგორის რაიონები ყიზლარის ველზე 300 ათასზე მეტ ცხვარს გამოაზამთრებენ. ამიტომ გაზრდილი ამოცანის წინაშე დგანან „საქსოფლტექნიკის“ კოლუბეის განყოფილების (მმართველი ი. ქავთარაძე) სატრაქტორო და ცალკეული კოლმეურნეობების საკვებმომპოვებელთა ბრიგადები.

ივნისის შუა რიცხვებში ბაჯიგანის, ბირუზიაკის, ბაკრესისა და სხვა ველებზე ბალახმა შეხლი შეიმაღლა, მომწიფდა, და საკვებმომპოვებლებმაც იქით მიაშურეს. ბალახის თიბვაზე ყოველდღიურად ახლაც 43 ტრაქტორი, 117 სათიბი, 30 შემგროვებელი და 9 საწნეხი მუშაობს. თუ ამას დავუმატებთ კოლმეურნეობების ხელთ არსებულ დამხმარე საშუალებებს, ბალახის თიბვისა და დამზადების საქმე თითქოს კარგად უნდა იყოს. მაგრამ ციფრები სულ სხვას მეტყველებენ. ჩვენი რესპუბლიკის საკვებმომპოვებლებს ყიზლარის ველზე თივის დაგროვების გეგმა ივლისის მეორე ნახევრისთვის მხოლოდ 20-22 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული. დუშეთის რაიონს 60.000 ცენტნერის ნაცვლად დამზადებული ჰქონდა 25.800 ცენტნერი თივა, ლენინგორის რაიონს 55 ათასი ცენტნერიდან 6.000. თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებს 55 ათასი ცენტნერიდან — 10.000

ბალახის თიბვასა და დამზადებაში ჩამორჩენენ ცხინვალისა და ჯავის რაიონები. სამი კვირის განმავლობაში მათმა საკვებმომპოვებლებმა 5.100 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 1.500 ცენტნერი თივა დაზვინეს. სამწუხარო ფაქტია, რომ გასულ წელს სოფლების გრომა, არცვის და სხვა კოლმეურნეობებმა დაგვიანებს ბალახის თიბვა, საკმაო რაოდენობით ვერ შექმნეს საკვები ბაზა, მათმა ფარებმა ცუდად გამოიზამთრეს, დიდი იყო პირუტყვის სიკვდილიანობა. 2.800 ნირბიდან 1.015 ბატკანი შეინარჩუნეს.

ცხინვალისა და ჯავის რაიონების გრომისა და არცვის კოლმეურნეობების მეცხოველეებმა შარშანდელი მწარე გაკვეთილიდან სათანადო დასკვნები ვერ გაკეთეს. წელსაც ცუდად ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის. აღსანიშნავია, რომ ორივე არტელიდან საკვებმომპოვებლები დიდი ხანია მიაღწიენეს ყიზლარის ველზე, მაგრამ რა გამოვიდა? მათ ჯერ არაფერი არ გაუკეთებიათ. ამას იმით ხსნიან, რომ არა აქვთ სათიბი ფართობი, ტექნიკა. კინ უნდა იზრუნოს, თუ არა თვითონ კოლმეურნეობებმა?

— თიოოს დაგროვების მაჩვენებლები უკეთესი იქნებოდა, „საქსოფლტექნიკის“ კოლუბეის განყოფილებას საჭირო რაოდენობით რომ ჰქონდეს საწნეხები, — გვითხრა დუშეთის რაიონის წარმომადგენელმა ი. სუარიძემ და დასძინა:

— წელს ყიზლარში ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებს 100.000 ცხვარი და 4.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გამოიზამთრებს. ამიტომ 182.900 ცენტნერზე მეტი თივა და 5.000 ცენტნერამდე კომბინირებული საკვები გვჭირდება. ვაშენებთ ახალ ფარეხებს და მწყემსთა სადგომებს.

რაიონის სათიბ მასივებზე დღეში 15-20 ტრაქტორი, 10-12 სათიბი, ბალახის შემგროვებელი მუშაობს. თიბვის ტემპი ძლიერია, სამაგიეროდ, იმის გამო, რომ საკმაო რაოდენობით არა გვაქვს საწნეხები, ნათიბი ბალახი ღია ცისქვეშ ფუჭდება, საკვებმომპოვებლებს კი დაუწნეხავად თივის დაზვინვა უჭირთ.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მოზამთრე მწყემსებისა და საკვებმომპოვებლების საყოფაცხოვრებო პირობები. ყიზლარის ველზე მათთვის აშენდა კეთილმოწყობილი სამკურნალო, გაფართოვდა სავაჭრო ქსელი. ამჟამად მათ მომსახურებას უწევს კეთილმოწყობილი სასტუმრო, კულტურის სახლი, სასადილო და სხვ.

კოჩუბეიში ქართველი მოზამთრეებისათვის გახსნილ საავადმყოფოს (მთავარი ექიმი ა. მარსაგიშვილი), რომელიც აღჭურვილია საუკეთესო სამედიცინო მოწყობილობითა და მედიკამენტებით, ჰყავს საკმაო შტატი, სასწრაფო დახმარების მანქანა, რათა მეცხოველეებს ადგილზე სათანადო დახმარება აღმოუჩინონ.

მაგრამ ამ კეთილშობილურ საქმეში ხშირად გულგრილობას იჩენენ. მომსახურე პერსონალი ხშირად ადგილზე არ არის, ნაკლებად აწუხებს საკვებმომპოვებელთა ყოველდღიური ყოფა. არის შემთხვევები, როცა ავადმყოფს ქმედითი დახმარებას ვერ უწევენ.

დუშეთის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის დამხმარე მუშა შ. წიკლაური წნეხზე მუშაობის დროს მძიმედ დაშავდა. დახმარებისათვის მიმართეს კოჩუბეის საავადმყოფოს. იმის გამო, რომ მკურნალთაგან ადგილზე არავინ იყო, საკვირაო მანქანამ ავადმყოფი სამედიცინო დახმარებისათვის ჯერ მცამეტე ასაკევზე გადაიყვანა, შემდეგ კი ყიზლარში.

ამჟამად საკვებმომპოვებელთა მრავალრიცხოვან ბრიგადებს საშუალება არა აქვთ წესისამებრ მიიღონ პირველი სამედიცინო დახმარება. თითქმის სამი თვეა ბირუზიაკისა და ბაკრესის ველზე სასწრაფო დახმარების მანქანა არავის უნახავს. თავის ტკივილის, გრიპის საწინააღმდეგო საშუალებებისათვის მოზამთრეები და საკვებმომპოვებლები ასეულ კილომეტრზე მიდიან.

სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ აგრეთვე ცეკავშირისა და ყიზლარის საცალო ვაჭრობის განყოფილების მიმართ. არ იქნა და ვერ მოხერხდა დატარებითი საველე ვაჭრობის მოწყობა, მაშინ. როცა განყოფილების განკარგულებაში მყოფი ავტოსავაჭრო მანქანები უქმად დგას. ამის გამო ტრაქტორისტები, მთიბავები, დამხმარე მუშები პაპიროსისა და სხვა პირველი მოხმარების საგნების შესაძენად სამუშაო დღეებს აკარგინებენ.

ტრაქტორისტმა ს. ბონდარენკომ, რომელიც დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მასივზე თიბავდა ბალახს, 14 ივლისს ტრაქტორი გააჩერა, პაპიროსისათვის 80 კილომეტრზე დაცილებულ მაღაზიაში წავიდა. დაიკარგა სამუშაო დღე, გაცდა ტექნიკა.

აქ მოყვანილ ფაქტებზე საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსს ამხ. მ. გილაშვილს რომ ვესაუბრე, მან ირონიულად გაიღიმა და თქვა, ეს წვრილმანია, გამოსწორდებაო. არა, აღნიშნული ნაკლი წვრილმანი არ არის და მის აღსაკვეთად გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ.

**მ**ეცხოველეებ მწყემსმა, მეცხოველემ და მათმა ხელმძღვანელმა კარგად იცის ტრასის მნიშვნელობა. ჩვენი რესპუბლიკის მოზამთრეთა ტრასის სიგრძე 450 კილომეტრია, კასპიისპირეთში იწყება და დარიალის ვიწროებში მოემართება. ამ ტრასაზე გაზაფხულშემოდგომობით უწყვეტ ნაკადად გაივლის ასეულ ათასობით ცხვარი. ტრასა დაყოფილია მონაკვეთებად. მისი მოვ

# სიტყვის დიდებული ოსტატი, ჩინებული ადამიანი

## ნამდვილი, თავისებური...

*თბილისი*

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს იოსებ გრიშაშვილის ოჯახს**

**ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამ ჩვენი სახალხო მგოსნის იოსებ გრიშაშვილის გარდაცვალების გამო. წავიდა ჩვენგან ქართული მხატვრული სიტყვის დიდებული ოსტატი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, ჩინებული ადამიანი. უძძიმესია ეს დანაკლისი. შენი სახელი უკვდავია, საყვარელო იოსებ!**

**ვასილ მჟავანაძე.**

**გაგრა. 5. VIII. 65.**

**დღეს საბოლოოდ გამოვეთხოვებით იოსებ გრიშაშვილს... საქართველოს სახალხო პოეტს, ბუნების ნიჭით უხვად მომადლებულს, ახალ ქართულ პოეზიაში მეტად თავისებურს, უჩვეულოს, განუმეორებელ მომღერალს, ჩვენი დედაქალაქის ნამდვილ ტროფალს.**

**ალარ არის, გარდაცვალა იოსებ გრიშაშვილი... ხომ არაბუნებრივად ეღერს ეს სიტყვები, ხომ შეუთავსებელად გვეჩვენება იმ პოეტის მიმართ, რომლის მთელი შემოქმედებაც სიცოცხლეს მიეძღვნა და, უფრო მეტიც, — სიცოცხლის უმაღლეს, ულამაზეს ფორმას — სიყვარულს. მე იოსებ გრიშაშვილის სიბერეც კი მეჩოთირებოდა, მომძიმდა. მით უფრო მიმძიმს მისი სიკვდილი.**

**ამიტომაც, დავიხსომოთ იოსებ გრიშაშვილი ისე, როგორც მას, მის შემოქმედებას შეშვენის და ეუფლვნის, დავიხსომოთ მარადიულ ახალგაზრდა კაცად, სატრფოზე, ჰეშმარიტებაზე, სამშობლოზე, დედაქალაქის უბნებზე უზომოდ შეყვარებულ მომღერლად, იგი ასეთი იყო.**

**ძნელია ახლა, ამ გლოვის დღეებში, ერთბაშად მოიხილო და შეაფასო ამ მშვენიერი მგოსნის მთელი შემოქმედება, მისი ღვაწლი და მონაპოვარი. ამ საქმეს დიდი დრო დასჭირდება, დიდი ენერგია და ლიტერატურის ნიჭიერი მკვლევარიც, შეიძლება ისეთივე, როგორიც თავათ იოსებ გრიშაშვილი იყო. და ერთი კი არა, იქნებ რამდენიმე მკვლევარიც, რომელნიც ცალ-ცალკე განიხილავენ იოსებ გრიშაშვილის მრავალწახნაგოვან შემოქმედებას და მოღვაწეობას— იოსებ გრიშაშვილს ახალი ქართული ლექსის სათავეებთან, იოსებ გრიშაშვილს ქართულ თეატრში, იოსებ გრიშაშვილს— საბავშვო პოეტს, იოსებ გრიშაშვილს — მთარგმნელს, იოსებ გრიშაშვილს — ლიტერატურის მკვლევარს, იოსებ გრიშაშვილს — რედაქტორს, იოსებ გრიშაშვილს — უნიკალურ ბიბლიოთეკარსა და ბიბლიოგრაფს, იოსებ გრიშაშვილს — უჩვეულო დეკლამატორს, იოსებ გრიშაშვილს... კიდევ რამდენი რამ ჩამოთვალოთ. შეტად ფართო იყო მისი ასპარეზი და ჰორიზონტი. ამდენად ძნელია ასეთი კაცის დაკარგვა ერისათვის.**

**ქართველ მწერალთა კოლექტივს გამოაკლდა ჰეშმარიტად საუკეთესო წარმომადგენელი, უხუცესი წევრი, დიდი ოსტატი და შემოქმედი.**

**მძიმეა, მძიმე ეს დანაკლისი.**

**ირაკლი აბაშიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოთხოვება იოსებ გრიშაშვილთან

**ქართული** კულტურის კიდევ ერთი თავდადებული მსახურის, სამაგალითო მამულიშვილის და სახელოვანი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ცხედარს მიიბარებს დღეს მთაწმინდის სპეტაკი მიწა. იოსებ გრიშაშვილის დიდი კეთილი გულის შუქი, რომლითაც გაბრწყინებულია მთელი მისი შემოქმედება, მარად მანათობელ ლამპრად იკაშკაშებს ქართული მწერლობის ცის კამბადონზე.

ამ გვერდში გამოქვეყნებული მასალები—ქართველ მწერალთა და ქართული კულტურის მეგობართა წერილები და დეპეშები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ხალხის გულში არასოდეს არ წაიშლება ხსოვნა ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მოახმარა მშობლიური კულტურის აყვავებასა და გამშვენიერებას.

## უანგარო მამულიშვილი

**ალარ გვყავს ჩვენი სოსო გრიშაშვილი... დიდმა ტკივილმა დაუარა გულს...**

**გვეთქმოდა საქართველოს სახალხო პოეტი, ხალხის საყვარელი, განთქმული მგოსანი, გულსახვედრი სიტყვის მთქმელი, ქართული სიტყვის მეჩუქურთმე, ხელოვანიერი მწერალი... დიდი მუძაკი, ამაგდარი მოღვაწე ქართული მწერლობისა...**

**ვის არ ხიბლავდა მსუბუქი, თბილი გრძნობა მისი პოეზიისა, რომლის საფუძველი იყო მუსიკა.**

**ვის არ ეხსომება მისი ნატიფი, სუფთად ჩამოსხმული ზმოვანი ლექსი, გულიდან აღმომხდარი... მისი ოსტატობა, მისი, „რითმის ამირბარობა".**

**იოსებ გრიშაშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ახალი ქართული ლექსის გადახალისებაში, დახვეწაში, პოეზიაში ახალი ტონის შემოტანაში.**

**გრიშაშვილს „სიყვარულის მგოსანს" ეძახდნენ. ჭეშმარიტად, მან შექმნა ქალის ახალი პორტრეტი, მან ღვარა ცრემლი სიყვარულისა; ამ ძხრიგ იგი ბუსიკის შთამომავალია.**

**პოეტის გულს ღელვა უნდა ზღვათაოდენი!**

**სუფსოოა გრიშაშვილის პატრიოტული ლირიკა, რომელიც სეფე-სანთელივით ანთია ჩვენს პოეზიაში.**

**საკულისმოა გრიშაშვილის წვლილი საბავშო მწერლობაში...**

**იოსებ გრიშაშვილის ნიჭი თბილისის, ძველს უხსებში დაყვავილდა...**

**დიდი ლირიკული შთაგონებით უმღერა მან ძველი თბილისის „ვაზნივით დაგრეხილ" ქუჩებს. მტკვარს, მეტეხსა და ნარიყალას; მან მტკვრის ლურჯი ზვირთების ლივნიდან ზმანდა ალმასები ამოკრიფა და მით გაამდიერა ჩვენი პოეზიის სალარო. ვის არ ძოაკოხდება მისი ბრწყინვალე ტრიოლეტები, თბილისისადმი მიძღვნილი, ანუ სხვა მისი ლექსები, რომლებშიც მან დაცალა თავისი პოეტური სული!**

**გრიშაშვილი არა მარტო თბილისის განთქმული მომღერალი იყო, არამედ მისი დაუცხრომელი, ნიჭიერი მკვლევარიც.**

**სოკარი გულმოდგინებითა და გამოწვლილვით შეისწავლა გრიშაშვილმა ძველი, დეკორატიული თბილისის ყოფა, ძველ თბილელთა მსოფლხედველობა და მათი ყოველივე ავაზაზანი როგორც ნამდვილმა ამბიკმა და ტრფიალმა და გადაგვიშალა ორ შესანიშნავ ნაშრომში — „საიათნოვა" და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბიკვნა".**

**მწერლობასა და მეცნიერულ მუშაობაში იოსებს ახასიათებდა დიდი კეთილსინდისიერება. იგი დიდად მშრომელი, გულდადებული მოღვაწე იყო; ყოველ საქმეს წრფელი სიყვარულით და გატაცებით ეკიდებოდა.**

**ტყუილად კი არ ამბობს თვითონვე მის მიერ ალექსანდრე ჭავჭავაძის გამოცემისასაკ, არ დაგვიკლია არც ფხა და არც რუდუნება, რომ ეს მძიმე საქმე ფარეზად შეგვასრულებინაო.**

**მართლაც ეს გრიშაშვილის თანდაყოლილი თვისება იყო! ვისაც წაუკითხავს მისი ნაშრომები, მან იცის, თუ რა დიდი დრო, შრომა და ოფლი დახარჯა პოეტმა ამ „უმადური" საქმეზე!**

**გრიშაშვილმა თავისი დაუზოგავი შრომის წყალობით ქართველ მკითხველს გააცნო საკმაოდ გადავიწყებული ძველი მგოსანი საიათნოვა, ეს ბრწყინვალე აშული, რომელმაც თვფსი ხელობა დიდ პოეტურ სიმაღლეზე აიყვანა.**

**დაუვიწყარია გრიშაშვილის ამაგი მთარგმნელობის დარგშიც. იგი შესანიშნავად თარგმნიდა სომეხ და რუს პოეტებს. გავიხსენოთ თუნდაც მისი იდეალური თარგმანები ოვანეს თუმანიანიდან.**

**ამგვარი თავისი შრომით გრიშაშვილი ხელს უწყობდა ხალხთა ძმობის განმტკიცებას.**

**გავიხსენოთ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა... სოსო ხომ „შმაგი მეხუნარი" იყო წიგნისა...**

**დიდი ნიჭის პოეტი, გულში ალმოკიდებული, ქართული ლექსის მეჩუქურთმე, დაბ მაშვრალი მოღვაწე. სპეტაკი, კეთილშობილი, დიდად პრინციპული, თავაზიანი, მორიდებული, მოალერსე ადამიანი, ქართული სიტყვისა და მწერლობისათვის თავდადებული რაინდი გვშორდება დღეს!**

**მაგრამ სოსოს ნიჭის ნაშუქი, მისი ნაღვაწი მუდამ დაუვიწყარი დარჩება!**

**არასოდეს არ იქნება დავიწყებული იგი, ვინც თავისი გული, ნიჭი და სიცოცხლე მისცა. ჩვენს მწერლობას, საქართველოს სიყვარულს.**

**ქართული პოეზიის ბაღში მუდამ იდგება რტოგაფენილი, საამურად სურნელოვანი ხე, რომელსაც ეერქმევა იოსებ გრიშაშვილი!**

**მშვიდობით. ძვირფასო, უფროსო ძმაო, მომღერალო და უზადო მამულიშვილო!**

**ვალმოხდილი მიდიხარ ხალხისა და სამშობლოს წინაშე. ხალხის ცრემლი, სიყვარული მოგდევს თან...**

**გიორგი ლეონიძე.**

## ნამდვილი, თავისებური...

**ეძღვნა და, უფრო მეტიც, — სიცოცხლის უმაღლეს, ულამაზეს ფორმას — სიყვარულს. მე იოსებ გრიშაშვილის სიბერეც კი მეჩოთირებოდა, მომძიმდა. მით უფრო მიმძიმს მისი სიკვდილი.**

**ამიტომაც, დავიხსომოთ იოსებ გრიშაშვილი ისე, როგორც მას, მის შემოქმედებას შეშვენის და ეუფლვნის, დავიხსომოთ მარადიულ ახალგაზრდა კაცად, სატრფოზე, ჰეშმარიტებაზე, სამშობლოზე, დედაქალაქის უბნებზე უზომოდ შეყვარებულ მომღერლად, იგი ასეთი იყო.**

**ძნელია ახლა, ამ გლოვის დღეებში, ერთბაშად მოიხილო და შეაფასო ამ მშვენიერი მგოსნის მთელი შემოქმედება, მისი ღვაწლი და მონაპოვარი. ამ საქმეს დიდი დრო დასჭირდება, დიდი ენერგია და ლიტერატურის ნიჭიერი მკვლევარიც, შეიძლება ისეთივე, როგორიც თავათ იოსებ გრიშაშვილი იყო. და ერთი კი არა, იქნებ რამდენიმე მკვლევარიც, რომელნიც ცალ-ცალკე განიხილავენ იოსებ გრიშაშვილის მრავალწახნაგოვან შემოქმედებას და მოღვაწეობას— იოსებ გრიშაშვილს ახალი ქართული ლექსის სათავეებთან, იოსებ გრიშაშვილს ქართულ თეატრში, იოსებ გრიშაშვილს— საბავშვო პოეტს, იოსებ გრიშაშვილს — მთარგმნელს, იოსებ გრიშაშვილს — ლიტერატურის მკვლევარს, იოსებ გრიშაშვილს — რედაქტორს, იოსებ გრიშაშვილს — უნიკალურ ბიბლიოთეკარსა და ბიბლიოგრაფს, იოსებ გრიშაშვილს — უჩვეულო დეკლამატორს, იოსებ გრიშაშვილს... კიდევ რამდენი რამ ჩამოთვალოთ. შეტად ფართო იყო მისი ასპარეზი და ჰორიზონტი. ამდენად ძნელია ასეთი კაცის დაკარგვა ერისათვის.**

**ქართველ მწერალთა კოლექტივს გამოაკლდა ჰეშმარიტად საუკეთესო წარმომადგენელი, უხუცესი წევრი, დიდი ოსტატი და შემოქმედი.**

**მძიმეა, მძიმე ეს დანაკლისი.**

**ირაკლი აბაშიძე.**

## დარჩები ეუდამ გაუხუნარი

**ქართულ** მწერლობას კიდევ ერთი ბოძი გამოეცალა, ჩვენგან წავიდა საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი. გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ ქართულ პოეზიას ასეთი დანაკლისი არ განუცდია. ისინი ერთი თაობის პოეტები იყვნენ, მხოლოო სრულიად განსხვავებული განწყობილებებისა და სტილის პოეტები, სხვადასხვანაირად ეყურებდნენ ქეეყანას და ასევე განსხვავებულად გამიცადეს და გამოხატეს. ეს სამყარო. და მაინც პირველ პერიოდში მეტი ჰქონდათ საერთო და შემოქმედებითაც ეფერო ახლო იყვნენ. გალაკტიონ ტაბიძე თავის პირად მეგობარეობასა და პოეტურ ფიქრებს ყველზე ეფრო იოსებ გრიშაშვილს უმეფაენებდა. იგი თავის ეფროს კოლეგას იოსებ გრიშაშვილს 1912 წელს სწერდა:

„იცი, საყვარელო სოსო ამ ბოლო დროს რაღაც ეჩრნარი სენი მეპარება. საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თვალსაბრი ავადმყოფობაა! და, ვით ინ სიკვდილით დასასკელი სახრჩობელას წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს... საშინელებაა!

აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს ეთვისტომობას, ჩემს მარტოობას...

მე დღეს შესაძლებელია ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო. შეიძლება გული გადავუხსნა კიდევ ეუთის გავლენის ქვეშ... და მაინც მარტო ვარ...

ახსენი, მეგობარო, ეს მდგომარეობა"...

ამ წერილის პირზე იოსებ გრიშაშვილს საკუთარი ხელით მიუწერია: „ასეთი იყო ბოლომდე". ეს პირადი წერილი ამას ამტკიცებს, რომ ეს ორი პოეტი მეოცე საუკუნის ათიან წლებში მეგობრებიც ყოფილან. ამისდა მიუხედავად სანესებით განსხვავებული ადგილები დაიკავეს მათ ჩვენს პოეზიაში, თავისებური ია განუმეორებელი ადგილები.

იოსებ გრიშაშვილის პოეზიის ცენტრალური თემა თბილისი და სატრფიალო ლირიკა იყო — „მე სიყვარულმა შემქმნა პოეტად". შეიძლება გადაუპარებელდა ითქვა ეს, რომ ქართულ ლიტერატურაში არავის ისე მრავალფეროვნად და გზნებით არ გამოუხატავს ჩვენი თბილისი, მისი ეროლორიტი და რომანტიკა, როგორც იოსებ გრიშაშვილს; „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბიბლიაში", ჩვენი დედაქალაქის ამ პოეტურ ენციკლოპედიაში პოეტი გულწრფელად აცხადებდა: „აქ ძველი თბილისის გულის სიღრმეში გამოჩნდა ბუნებრივი ვეძა-ანკარა წყარო და დასაწყისი ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა, მე შევსვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩემს ძარღვებში მის მადლიანი ნაკადი მჩქეფარებს. ბავშობიდანვე შემიყვარდა იგი, მზიური ნისლით დაბურული ნარიყალას ისტორიული ნაშთი ლომა სადიდებლებისავით იყო ჩემს წინაშე ალმართული, ჩემი პოეტური ფანტაზია და ოცნების წმინდა სიყვარული მხოლოდ ლექსის ლერწმებში დავაპატიმრე". დიახ, იოსებ გრიშაშვილის პოეზიას დიდი ეშხი და მადლი თბილისმა მისცა, ხოლო თბილისს ეს ეშხი და სილამაზე იოსებ გრიშაშვილს პოეზიამ საყოველთაოდ გამოაფინა. ამიტომაც შეეძლო პოეტს ეთქვა თბილისის მისამართით:

**მაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად დარჩები მუდამ გაუხუნარი.**

იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში ბესიკის, საიათნოვას, ალ. ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის ხმები მოისმოდა, მაგრამ ისე ახლებურად ეღერდა ეს ნაცნობი ხმა, ისეთი ორიგინალური პოეტური მადლი ჰქონდა მინიჭებული, რომ მას ამ მხრივ ბადალი არ ჰყოლია მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში.

ი. გრიშაშვილის ერთ-ერთი ღირსება ის იყო, რომ მან უბრალოდ კი არ მიბაძა თავის წინამორბს, არამედ საკუთარი ინდივიდუალური სახე მისცა ძველ თემებს და დამოუკიდებელი პოეტური ხმით გამოვიდა დიდი აკაკი და საზოგადოებას იგი ასე წარუდგინა: ახალგაზრდა პოეტებს შორის ქუხსო. იმავე საღამოზე თავად ლეკსთან ერთად იოსებ გრიშაშვილს ლექსი „შენ ხარ ხეთა ბაღი" წაიკითხა. ეს არ იყო უბრალო მკითხველის პათეტიკური აღტაცებით წარმოთქმული სიტყვები. არა, ეს დიდი აკაკის შეფასება იყო, და ისტორიამ გაიზიარა ეს შეფასება.

იოსებ გრიშაშვილი მეოცე საუკუნის ყველა ქართველი პოეტის მეგობარი და ხელისგამწოდებელი იყო, პოეზიაში კი მას თავის საკუთარი ალგი ჰქონდა. მას ბევრი პატივისმცემელი და მიმბაძველი ჰყავდა, მაგრამ არც ერთი გამგრძელებელი არ დარჩა, ის ამ მხრივ განუმეორებელი პოეტია. იოსებ გრიშაშვილი დაბადებით, ბუნებით იყო პოეტი, მიროსცხებული პოეტი, ამავე დროს უაღრესად მკრძნობიარე და ფაქიზი. და ეი იოსებ გრიშაშვილმა დაინახა თუ არა, რომ ყველაზე დიდი დამცველი ყოველივე იმისა, რაც დიდებული და კარგი შეუქმნია ქართველ ერს, საბჭოთა საქართველოა, ძველი თბილისის ტრუბადურმა გულწრფელად მიაშურა საბჭოთა პლატფორმას და ისეთივე აღტაცებით უმღერა საბჭოთა დროს, როგორი აღტაცებითაც აცოცხლებდა იგი გარდასულ ისტორიას, გვერდში ამოუდგა ჩვენს ეპოქას, ჩვენს ახალ თბილისს.

ეს დიდი მოქალაქე და დიდი პოეტი ჩვენი დედაქალაქისა, წავიდა ჩვენგან, ველარ დავინახავთ მას თბილისის ქუჩებში იღლიაში ამოჩრილი ძველი და ახალი წიგნებით, ვერც ხარფუხის აღმართზე ვნახავთ ავლილ-ჩამოვლილს, ვერც მის უბრწყინვალეს კითხვას მოვისმენთ მისი თაყვანისმცემელი მკითხველებთ სავსე დარბაზებში. ვაი. რა დასანანია, რომ სამუდამოდ წავიდა ჩვენგან თბილისის სიცოცხლის და მოჯნურობის ეს განუმეორებელი პოეტი. მაგრამ მისი ლექსები, მისი გამოკვლევები მარად იცოცხლებენ ჩვენს თბილისთან ერთად, მის საფიცარ საქართველოსთან ერთად.

**სერგი ჟილაია.**

## მეგობარი

**ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამ ძველი მეგობრის, გამოჩენილი კრიტიკის, საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწის ძვირფასი იოსებ გრიგოლის-ძე გრიშაშვილის გარდაცვალების გამო. მისი ერთგულება პოეზიისადმი, მისი დიდი, მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრება, ყველაფერი, რაც მას გაუკეთებია როგორც პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, მაკფიო მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის. სამშობლო, სიყვარული, უფიშარობა იყო მისი ლოზუნგი. გავიმეოროთ იგი მის შემდგომ.**

**ნიკოლოზ ტიხონოვი.**

## ღრმად ეროვნული

**ღრმა მწუხარებით ვხრი თავს საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მგოსნის, შესანიშნავი პოეტისა და ადამიანის იოსებ გრიშაშვილის ცხედრის წინაშე. მისი შთაგონებული, თავისებური, ღრმად სოციალისტური და ღრმად ეროვნული პოეზია ჩვენი დიადი ქვეყნის ლიტერატურის მარადიული ღირებულება იქნება. მთელი გულით ვიზიარებ ქართველ მეგობართა მწუხარებას.**

**მიკოლა გაჭანი.**

## მარადის ქუერდეს

**წავიდა ჩვენგან ძველი თბილისს ერთგული მომღერალი და ახალი თბილისის დიდი პატრიოტი. მაგრამ იოსებ გრიშაშვილის წრფელი გული ცოცხლობს პოეტის შთაგონებულ ტაეტებში, მის შემოქმედებაში, რომელიც ამ მადლიანმა ადამიანმა საქართველოს ოსახსოვრა. დაე მარადის ეურდეს იოსებ გრიშაშვილის ტკბილხმოვანი პოეზიის ხმები.**

**ანა ანტონოვსკაია.**
**გორის ჩორნი.**

ძ. მოსკოვი.

**პოეტის** მთელი ფიქრით და ოცნებით, სამშობლო კუთხისა და სიცოცხლის სიყვარულით, სიკეთისათვის, ჩვენი კულტურის დიდებისათვის წყურვილით სუნთქავს იოსებ გრიშაშვილის შემოქმედება, რომელსაც შეიყვარებენ და შეიტკბობენ მომავალი თაობები. პოეტის სახეს კი სურათები შეუნახავენ შთამომავლობას. აქ დაბეჭდილი ეს ორი სურათიც სწორედ ამ აზრითაც არის მნიშვნელოვანი. პირველი მათგანი (ზემოთ) ამ ოცდაათი წლის წინათ არის გადაღებული, ხოლო მეორე კი — 1968 წელს (ფოტო გ. შეუიდაძისა).

## მეგობარი

**ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამ ძველი მეგობრის, გამოჩენილი კრიტიკის, საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწის ძვირფასი იოსებ გრიგოლის-ძე გრიშაშვილის გარდაცვალების გამო. მისი ერთგულება პოეზიისადმი, მისი დიდი, მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრება, ყველაფერი, რაც მას გაუკეთებია როგორც პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, მკაფიო მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის. სამშობლო, სიყვარული, უფიშარობა იყო მისი ლოზუნგი. გავიმეოროთ იგი მის შემდგომ.**

**ნიკოლოზ ტიხონოვი.**

## ღრმად ეროვნული

**ღრმა მწუხარებით ვხრი თავს საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მგოსნის, შესანიშნავი პოეტისა და ადამიანის იოსებ გრიშაშვილის ცხედრის წინაშე. მისი შთაგონებული, თავისებური, ღრმად სოციალისტური და ღრმად ეროვნული პოეზია ჩვენი დიადი ქვეყნის ლიტერატურის მარადიული ღირებულება იქნება. მთელი გულით ვიზიარებ ქართველ მეგობართა მწუხარებას.**

**მიკოლა გაჭანი.**

## მარადის ქუერდეს

**წავიდა ჩვენგან ძველი თბილისს ერთგული მომღერალი და ახალი თბილისის დიდი პატრიოტი. მაგრამ იოსებ გრიშაშვილის წრფელი გული ცოცხლობს პოეტის შთაგონებულ ტაეტებში, მის შემოქმედებაში, რომელიც ამ მადლიანმა ადამიანმა საქართველოს ოსახსოვრა. დაე მარადის ეურდეს იოსებ გრიშაშვილის ტკბილხმოვანი პოეზიის ხმები.**

**ანა ანტონოვსკაია.**
**გორის ჩორნი.**

ძ. მოსკოვი.

## ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

**ᲣᲚᲠᲛᲔᲡ** ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲐᲛ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲚᲘᲡ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲘ, ᲛᲓᲘᲠᲔ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ. ᲠᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲣᲙᲔ�თᲔᲑᲘᲗᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲝᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡ, ᲛᲐᲙᲤᲘᲝ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲛᲝᲒᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲣᲨᲘᲨᲐᲠᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲚᲝᲖᲣᲜ�გᲘ. ᲒᲐᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲗ ᲘᲒᲘ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ.

**ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲢᲘᲮᲝᲜᲝᲕᲘ.**

## ᲓᲠᲛᲐᲓ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

**ᲓᲠᲛᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲮᲠᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ Მ�გᲝᲜᲡᲘᲡ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, ᲠᲘᲛᲓᲐᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲘᲛᲓᲐᲓ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲕᲘᲖᲘᲐᲠᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲗᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

**ᲛᲘᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲭᲐᲜᲘ.**

## ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲥᲣᲔᲠᲓᲔᲡ

**ᲬᲐᲕᲘᲓᲐ** ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲗᲐᲠᲘᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, ᲠᲘᲛᲓᲐᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲘᲛᲓᲐᲓ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲕᲘᲖᲘᲐᲠᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲗᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

**ᲛᲘᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲭᲐᲜᲘ.**

## ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲥᲣᲔᲠᲓᲔᲡ

**ᲬᲐᲕᲘᲓᲐ** ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲗᲐᲠᲘᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, ᲠᲘᲛᲓᲐᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲘᲛᲓᲐᲓ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲕᲘᲖᲘᲐᲠᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲗᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

**ᲛᲘᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲭᲐᲜᲘ.**

## ᲛᲨᲝᲑᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲣᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲛᲐ** ᲓᲐᲯ

# ახალი პიესები · სცენები

## ქართული ხელოვნება ნიუ-იორკის ნაპირებზე

ლენინგრადი, 6 აგვისტო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). თითქმის ორი კვირაა აქ საგასტროლოდ იმყოფება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ამ დროის განმავლობაში მომთხოვნმა ლენინგრადელმა მაყურებელმა ნახა ქართული თეატრის საუკეთესო დადგმები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე დიდი წარმატება ხვდა ზ. ფალიაშვილის უკვდავ ოპერა „დაისს“. მაყურებელი კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა ქართველი მსახიობების მაღალი ვოკალური კულტურითა და სამემსრულებლო ოსტატობით.

საოპერო ხელოვნება, ისევე როგორც ყველა თეატრალური ხელოვნება, სინთეზურია. იგი წარმოსახვის სხვადასხვა კომპონენტს შეიცავს და ერთ-ერთი მათგანის უგულებელყოფას ჩვენდა უნებურად საკმაო დისონანსი შეაქვს. საოპერო სპექტაკლში, რასაკვირველია, მთავარია ვოკალი, მაგრამ თუ არ არის კეთილხმოვანი ორკესტრი და პარტიტურის მცოდნე დირიჟორი, თუ მიზანსცენა მუსიკალურ დრამატურგიის სცილდება, კარგი ვოკალისტი უფერულდება, ხოლო სპექტაკლის მხატვრულ-ემოციური გავლენა მაყურებელზე საკმაოდ მცირდება.

ამ მხრივ საგულისხმოა ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორის, მუსიკათმცოდნე ბორის არაპოვის აზრი:

„მე ძალიან მიყვარს, როცა მომღერალს ვუსმენ და ვუცქერი... ერთი სიტყვით, საოპერო სპექტაკლში მომღერალი მსახიობიც არის და ისევე კარგად უნდა ასრულებდეს როლს, როგორც ფლობს საკუთარ ვოკალს.

სასიამოვნოა, როცა უსმენ ქართველი მომღერლების ჩინებულ სიმღერას და უცქერი მათ მიერ მკვეთრად გამოკვეთილ სცენურ სახეებს. პეტრე ამირანაშვილის დი-ლუნა ვერდის ტრუბადურში საუცხო ვოკალურ სახესთან ერთად დრამატული თეატრის ტრადიციების საუკეთესო დემონსტრაციაა. ცანგალა, ეს მოქნილი ინიბაზი პეტრე თოდაძის შესრულებით და შოთა კიკნაძის ლამაზი ბარიტონი და სცენური მომხიბვლელობა, დარწმუნებული ვარ, დიდხანს ემახსოვრებათ ლენინგრადელებს“.

„დემონის“ შემდეგ თბილისის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ჯ. პუჩინის კომიკური ოპერა „ჯანი სკიკი“ და პ. მასკანის „სოფლის პატიოსნება“. დიდი მოწონება ხვდა ბათუ კრავეიშვილის „ჯანი სკიკის. კომიკურ-დრამატული ელემენტებით აღბეჭდილ ამ ბრწყინვალე ოპერაში ბ. კრავეიშვილმა ბრწყინვალე ოსტატობა გვიჩვენა. ყოველი მისი ფრაზა უშეცდომოდ და მკაფიოდ. „ჯანი სკიკის“ გროტესკულობაშიც კი. მომღერალს ზომიერების გრძნობა არ ღალატობს. იგი მღერის და თამაშობს, თამაშობს და მღერის. მაყურებელი მუდამ მადლიერია ნამდვილი ხელოვნებისათვის, ინტერესით უსმენენ ბ. კრავეიშვილს. მსმენელს სურს არ გამორჩეს ამ შესანიშნავად გამოძერწილი სახის არც ერთი ნიუანსი.

### საინტერესო სიახლე

## ტყავი... ქვიდან

ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში სხვა დასხვაფერი — თეთრი, შავი, წითელი, ცისფერი ლამაზი ტყავების ნაჭრები მიჩვენეს.. ამ ტყავის პალტო, ჩანთა თუ ტუფლი უეჭველად გაახარებს მოდების ყოველ მოყვარულს.

ეს ჩინებული სინთეზური მასალა მიღებულია შეუხედავი მოყავითლო ქვიდან — საწვავი ფიქალიდან, რომლის მოპოვებასაც ესტონეთში ეწევიან. ჩვეულებრივად. ფიქალს სათბობად იყენებდნენ. ინსტიტუტში იგი პირველად დაამუშავეს არა თერმულად, არამედ ქიმიურად: ორგანული შემადგენელი ნაწილი უფრო მარტივ და შემდგომი სინთეზისათვის მოხერხებულ კომპონენტებად დაშალეს.

ფიქალიდან, გარდა ტყავისა, შეიძლება მიღებულ იქნას ლაქები, სხვა დასხვა ელექტროტექნიკური და სმაგრის, თვით ზეტკიეცე, საავტომობილე კორდის მსგავსი ფოროპლასტები. ამჟამად წარმოებს ახალი მეთოდის დამუშავება ნახევრადსამრეწველო დანადგარზე.

## მოკლედ

● **ონი.** (საკ. კორ.). ამას წინათ ექიმთა ბრიგადა ეწვია რაიონის სოფლებს — კვაშხეთს, ზვარეთს, ხეითს, ზუდალს, ბოყვასა და ქორთას. ექიმებმა სამედიცინო მომსახურება გაუწიეს სოფლის მშრომელებს, წაიკითხეს ლექციები სამედიცინო თემაზე.

● **თელავი.** (საკ. კორ.). თელავის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მეზობლებმა ხარაჩოები ჩამოხსნეს ასსაწოლიან სამშობიარო სახლს.

● **ტყიბული.** (საკ. კორ.). დიასახლისმა შ. მესხმა ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1965 წლის მეხუთე გამოშვების 11608 სერიის № 258 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

● **ზუგდიდი.** შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მომდინარე წლის სეზონის დასასრულს კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში მეჩაიეებთან წარმოადგინა კიტა ბუაჩიძის სამმოქმედებიანი კომედია „პროვინციელი ქალიშვილი“, რომლის დადგმა განახორციელა ს. უიფშიძემ.

ვ. ცოფაია.



**სურათებზე (მარჯვნივ): კინოსაკონცერტო დარბაზის მშენებლობა თბილისში. (მარცხნივ) კინოსაკონცერტო დარბაზის მაკეტი.**

ფოტო ი. დვალისა. (საქდესის ფოტოკორონიკა).

ეს თქვენთვის შენდება, მეგობრებო!

## „გვირილა“ იფურჩქნება

**უზარმაზარი** დარბაზის სცენაზე მომღერალი ქალი უმიკროფონოდ მღერის, მისი ხმა ყველაზე ნაზი პიანისიმოს დროსაც კი ისმის იარუსის ბოლო რიგებში. თბილისში კინოსაკონცერტო დარბაზის ბრწყინვალე აკუსტიკა დააპროექტეს ლენინგრადის ინსტიტუტის „გიპროკინოპოლიგრაფის“ სპეციალისტებმა.

ასეთი დარბაზი ამჟამად შენდება საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში. არაჩვეულებრივი კონსტრუქციის შენობა უკვე ახლა საოცრად მოგვაგონებს გვირილას, მართალია უჩვეულოს, სამიარუსიანს.

კინოსაკონცერტო დარბაზის პროექტი შეიმუშავა „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის კოლექტივმა თბილისის მთავარი არქიტექტორის ი. ჩხეიძეს მეთაურობით. 2.500 მაყურებელი მოხერხებულად ჩაჯდება რბილ სავარძლებში, რადიო-ყურსაცმებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სინქრონულ თარგმნას ხუთ ენაზე. კონდიცირებული ჰაერის დანადგარები დარბაზში შექმნიან ზომიერ ტემპერატურას. ორკესტრის ორმო შეიძლება აიწიოს სცენის დონემდე და გაზარდოს მისი ფართობი, გუნდის გამოსვლისას კი სცენის ნაწილი აიწევა და გუნდი შემაღლებაზე გაჩნდება. სცენის სიღრმეში მოეწყობა ნახევრადსფერული 35×15 მეტრი ზომის ფართო ეკრანი, რომელიც შესაძლებელს გახდის ფართო ფორმატის და ჩვეულებრივი ფილმების დემონსტრაციას.

კინოსაკონცერტო დარბაზის შენობის მშენებლობა რუსთაველის პროსპექტსა და ლენინის ქუჩის რეკონსტრუქციის ნაწილია.

• • •



ჩვენი კლანეტის ამინდი

## წვიმების რეკორდი

აგვისტოს დამდეგს საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში სამხრეთის ინტენსიური ციკლონი გაჩნდა. ელჭექის ხასიათის წვიმებმა და ქარიშხლებმა გადაიარა უკრაინის დასავლეთ ოლქებში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, ცენტრალური რაიონის დასავლეთსა და კარელიაში. ერთ ღამეს სმოლენსკის ოლქში ნალექების თვიური ნორმის ნახევარზე მეტი მოვიდა. საბჭოთა კავშირის მთელ ევროპულ ტერიტორიაზე ივლისი არაჩვეულებრივად წვიმიანი იყო. ნალექების რაოდენობის მხრივ ივლისი საროკოდ იყო მოსკოვშიც. ამ თვეში დედაქალაქში ნალექების ორ თვიურ ნორმაზე მეტი მოვიდა. დაკვირვებათა მთელი დროის მანძილზე 1879 წლიდან მოსკოვში ასეთი წვიმიანი თვე არ ყოფილა. წვიმიანი დღეების რიცხვიც ჩვეულებრივზე მეტი იყო—19. საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში კი ჰაერის ცხელმა მასებმა შეაღწია. 35-36 გრადუსი სითბო იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ უკრაინაში, როსტოვის ოლქში და ქვემო ოლგაზე. ძალიან თბილოდა დასავლეთ ციმბირში. აქაურ ძველ მცხოვრებთ ასეთი ცხელი და მშრალი ზაფხული არ ახსოვთ. ხატანგასა და ტიკსიშიც კი, პოლარულ წრეს იქით, 28-30 გრადუსი სითბო იყო. მხოლოდ იშვიათად ცივი ჰაერი ჩრდილოეთ ურალის რაიონებიდან შეიჭრება ხოლმე დასავლეთ ციმბირის სამხრეთ ნაწილში, მაგრამ შემდეგ ჰაერი მალე თბება, და კვლავ სამხრეთის ქარებს სიცხე მიაქვთ დასავლეთ ციმბირში.

შუა აზიაში უკვე დიდი ჭანია წვიმები არ მოსულა და ტემპერატურა ამ რაიონებში ყველგან 35 გრადუსზე მაღალია. მხოლოდ ყირგიზეთის მთიან რაიონებში იშვიათად გადაივლის ხოლმე ელჭექის ნასიათის წვიმები. აღმოსავლეთ ციმბირში კვლავ თბილი ამინდია. ვერხოიანსკსა და მირნინში 30 გრადუსამდე სითბოა, ოიმიაკონში პლუს 27. ელჭექი ქუხდა ხოლმე ირკუტსკის ოლქში და იმირბაიკალში. შორეულ აღმოსავლეთში, ხაბაროვსკის მხარეში 22-25 გრადუსი სითბოა.

უახლოეს დღეებში საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალურ რაიონებში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ადგილ-ადგილ — ხანმოკლე წვიმები და ელჭექი. ტემპერატურა დღისით 20 გრადუსამდე. გრილი ამინდი: დღისით 16-18 გრადუსი, ხანმოკლე წვიმებით, იქნება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და ბელორუსიაში. კოკისპირული წვიმები, ელჭექი და ძლიერი ქარები გადაივლის როსტოვის ოლქში, ქვემო ვოლგაზე და ჩრდილოეთ კავკასიაში. მომდევნო დღეებში აქ ამინდი გაუმჯობესდება. მწვ კვლავ იკაშკაშებს და ჰაერი 22-27 გრადუსამდე გათბება. ტემპერატურა დაიწევს და წვიმები გადაივლის ქვემო, შუა და ზემო ვოლგაზე. გრილი და წვიმიანი ამინდი იქნება მურმანსკისა და არხანგელსკის ოლქებში. აცივებენ მოსალოდნელია ყაზახეთის ჩრდილოეთ რაიონებში, ნოვოსიბირსკის, კემეროვოს ოლქებსა და ალტაის მხარეში. აქ დროდადრო ელჭექი და კოკისპირული წვიმები გადაივლის. შუა აზიის რესპუბლიკებში ცხელი და მშრალი ამინდი დარჩება.



## მუსიკოსის გმირობა

**1941 წლის ივნისი იწურებოდა. მოსკოვის კონსერვატორიის დერეფნებში არაჩვეულებრივი მღელვარება სუფევდა. სტუდენტები** უკანასკნელ გამოცდებს აბარებდნენ და გასაწვევი პუნქტებისაკენ მიიჩქაროდნენ. ვისაც მობილიზაცია არ ეხებოდა, ისინი სახალხო მოლაშქრეთა რაზმებში ეწერებოდნენ, რომ სამშობლოს წინაშე თავიანთი პატრიოტული ვალი მოეხადათ. ამ უკანასკნელთა რიცხვში კონსერვატორიის ბევრი პედაგოგი იყო, მათ შორის ისტორიულ-თეორიული კათედრის დოცენტი **კონსტანტინე ზრიგოლის-ძე შოტნიაშვილი.**

ფაშისტური გერმანიის თავდასხმის პირველ დღეებში კ. შოტნიაშვილი ერთი პირველთაგანი ჩაეწერა კონსერვატორიასთან ჩამოყალიბებულ სახალხო მოლაშქრეთა რაზმში, რომელიც წითელი პრესნიის რაიონის მერვე დივიზიის პირველ ბატალიონში შედიოდა. მასთან ერთად იყვნენ მისი კოლეგები, ყველაზე პუმანური პროფესიის ადამიანები: მუსიკოსები, მომღერლები, კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნეები, რომლებიც მშვიდობიან შრომას მოსწყდნენ და იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად დადგნენ. ბევრი მათგანი დაეცა ბრძოლის ველზე. დღესაც ცოცხალია შესანიშნავი პიანისტის, ვარშავის შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის ა. დიაკოვის, ნიჭიერი მომღერლის ა. ოკოემოვის, ფოლკლორისტ ვ. კრივონოსოვის, მევიოლინე ვ. შინიძის, აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ი. ნადიროვის და სხვა მუსიკოსთა სახელები.

ხუთ იანვისს, ხანმოკლე მომზადების შემდეგ, წითელი პრესნიის სახალხო მოლაშქრეთა დივიზია დასავლეთის ფრონტისაკენ დაიძრა. რაზმელები დღედაღამ შეუსვენებლივ მიდიოდნენ ფეხით და თან გზადაგზა საბრძოლოდ იწერთნებოდნენ. ასე გაიარა რაზმმა ნახაბინო, კუნცევო, დოროხოვო, რუზა, ვიაზმა, დოროგობუჟი.

კონსტანტინე შოტნიაშვილი კონსერვატორიის რაზმის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო. მან მოკლე ხანში აითვისა სამხედრო საქმე და თავის ნაწილში სამაგალითო მსროლელის სახელი მოიპოვა. მასვე დავალებული ჰქონდა ასეულის პოლიტხელის მოვალეობის შესრულება. იგი წინ მიუძღოდა რაზმს, მებრძოლებს ამხნევებდა. ვინ იცის რა ფიქრები მიჰყვებოდა თან ამ დროს? კონსერვატორიაზე, ახალ სასწავლო გეგმებზე. ოქახზე თუ ერთადერთ შვილზე — შვიდი წლის იგორზე.

სახალხო მოლაშქრეთა დივიზიას მტერთან შებმა პირველად ვიაზმის ახლოს მოუხდა. თავით ფეხთამდე შეიარაღებული ფაშისტური ურდოები ყოველი მხრიდან უტევდნენ სახალხო მოლაშქრეთა პოზიციებს. მდგომარეობა თანდათან კრიტიკული ხდებოდა. ამ დროს დივიზიამ მიიღო ბრძანება ზურგში გადაეყვანათ კონსერვატორიის 25 მუშაკი, მათ შორის კონსტანტინე შოტნიაშვილიც. მაგრამ მან უარი განაცხადა ბრძანების შესრულებაზე და ბრძოლის ხაზზე დარჩა. ამით კიდევ უფრო გააძლიერა მოლაშქრეთა მორალური განწყობილება და საბრძოლო უნარი.

10 ოქტომბერს სოფელ ლოზნოს რაიონში მტერმა შეძლო სახალხო მოლაშქრეთა გარემოცვა. გაისმა მეთაურის ძახილი: მტერს ცოცხლები არ ჩავბარდეთ, ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე! ამ მძიმე მომენტში, ამბობს რაზმის მონაწილე კალუუსკი, მთელი ასეულის ხელმძღვანელი და იმედი კ. შოტნიაშვილი იყო. იგი სანგრიდან სანგარში გადიოდა და აღფრთოვანება შეჰქონდა მებრძოლებში, სარდლობისაგან მას ნაბრძანები ჰქონდა ბრძოლით გაეჭიდვია მტერი გარემოცვა და რაზმი გამოეყვანა. დაიწყო მძიმე და უთანასწორო ბრძოლა. სახალხო მოლაშქრეები თავგანწირვით იბრძოდნენ გაშმაგებული ფაშისტების წინააღმდეგ. ბრძოლაში ბევრი შეიარა გმირულად დაეცა, ჭაბ შორის კ. შოტნიაშვილიც. ასე ღირსეულად შეასრულეს კონსერვატორიის მოლაშქრეებმა სამშობლოსათვის მიცემული ფიცი.

ადრეულად გამოესალმა სიცოცხლეს მოსკოვის კონსერვატორიის დოცენტი კონსტანტინე შოტნიაშვილი, რომლის შესახებაც ცნობილი კომპოზიტორი და პედაგოგი იპოლიტოვ-ივანოვი, მან თბილისის კონსერვატორიაში რომ ასწავლიდა, მოგონებებში წერდა:

„ჩემი მოწაფეებიდან უნდა აღვნიშნო ა. ბალანჩივაძე და კ. შოტნიაშვილი, რომლებსაც მომავალში ბევრის მოცემა შეუძლიათ“. მართლაც, მხცოვანი პროფესორი არ შეშცდარა, მალე ორივემ ღირსეული ადგილი დაიკავეს ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებაში.

ფართო და მრავალფეროვანი იყო კ. შოტნიაშვილის მუსიკალური მოღვაწეობა. იგი ლექციებს კითხულობდა თეორიულ საგნებში კონსერვატორიაში და საშუალო სასწავლებლებში, განაგებდა საფორტეპიანო კლასს და ეროვნულ სტუდიებს. აქვე უნდა აღინიშნოს მისი საკონცერტო მოღვაწეობაც, რასაც იგი აწარმოებდა კამერული მუსიკის პროპაგანდის ხაზით. მიუხედავად დიდი პედაგოგიური საკონცერტო და საზოგადოებრივი დატვირთვისა, კ. შოტნიაშვილი საკმაო დროს ანდომებდა მეცნიერულ მუშაობასაც.

შრომაში მუდამ მკაცრი და მომთხოვნი, ცხოვრებაში კი გულისხმიერი ამხანაგი კ. შოტნიაშვილი საყოველთაო ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა პედაგოგებსა და მოსწავლეთა შორის. მოსკოვის კონსერვატორიის დირექციამ უკვდავყო კ. შოტნიაშვილის სახელი. **კონსერვატორიის მესამე სართულზე დადგმულია მარმარილოს დაფა, რომელზეც ოქროს ასოებით აღბეჭდილია სამამულო ომში დაღუპულ მუსიკოსთა გვარები. მათ შორის მოხსენიებულია კონსტანტინე შოტნიაშვილიც.**

მარმარილოს დაფა ყოველთვის ცოცხალი ყვავილებით არის შემკული და მახ მრავალი მნახველი ჰყავს.

ა. მშველიძე,
მუსიკისმცოდნე.

მოსკოვი.

• • •

**სურათზე:** კ. შოტნიაშვილი.

## ხელოვნებისმცოდნეობის სადგური ბორჯომში

**ბორჯომისა** და მისი მეზობელი რაიონების ტელემაყურებელთა გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა 15-ვატიანი ტელევიზორგადამცემი სადგური. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კ. ბურჯაანის მახლობლად ზიარის მაღლობზე ახლახან დამონტაჟა და საექსპლოატაციოდ გადასცა ახალი ტელევიზორგადამცემი სადგური.

ს. ზაკარაშვილი.

## ახალი წიგნები — ქარხანა

**სილნაღი.** (საკ. კორ.). პუბლიკაციების წნორის საერთაშორისო ბაზის (დირექტორი ი. ამირანიძე) კოლექტივმა ზეგეგმითი მოგებით მიღებული სახსრებით აიშენა წისქვილი-ქარხანა, რომელიც ყოველდღიურად 75 ტონა მაღალხარისხოვან ფქვილს უშვებს.

წისქვილ-ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია ეახელის რაიონების გარდა იგზავნება აზერბაიჯანის სსრ ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში.

## ბუნების მტრები

### გრაკონიერები მკაცრად უნდა დაისაჯონ

**აუცილებლად** სურვილი ჰ. კარაკოზიანს, ო. თევდორაშვილს, ვ. დანელიანს, ა. ბალისაშვილს. მშვენიერი დარი იდგა 23 მაისის კვირა დღეს.

როგორ ემზადებოდნენ ისინი ამ დღისათვის. წინასწარვე შეადგინეს გეგმები, შეიძინეს თევზაობისათვის საჭირო ლეჭერეობა და კიდევ სხვა რამ. მაგრამ მაინც რა? არაფერი კეთილშობილური და რაინდული. შეიძინეს ათობით კილოგრამი მოძრაველელი ნივთიერება — ციანპლავი, მოსასმელი ბადე, რამდენიმე ცალი რკინის ლამპა და დიდი ურო.

მოელაპარაკნენ ქალაქ თბილისის მეორე ტაქსომოტორის ავტოსატრანსპორტო კანტორის ტაქსის მძღოლს ე. ვოლობუევს და გზას გაუდგნენ. „ობიექტად“ აირჩიეს ბოგდანოვკის რაიონის მდინარე ფარავან-ჩაი. „თევზაობას“ კარგი პირი უჩანდა. აკრძალული წესით დაიჭირეს დიდძალი თევზი.

მაგრამ ბრაკონიერები ამით როდი დაკმაყოფილდნენ. ოთხი დღის შემდეგ ისინი ბარბაროსულად შეესივნენ მდინარე ქციას. გაიარა კიდევ ორმა დღემ და ამავე მდინარეში წალკის რაიონის სოფელ რეხის მახლობლად კვლავ ასეთივე წესით იჭერდნენ თევზს. მაგრამ აქ უკვე წაასწრეს ბრაკონიერებს და აღკვეთეს მათი „საქმიანობა“.

მარნეულის თევზის დაცვის ინსპექციამ წალკის მილიციის რაიონული განყოფილების აქტიური ხელშეწყობით შეძლო ბრაკონიერების დაკავება, რომლებმაც დაკითხვაზე თავი დანაშაულებად ცნეს.

ვის არ ესიამოვნება კვირა დღეს დაისვენოს ბუნების წიაღში წაინადროს, ითევზაოს. არავის ძალუძს წაართვას ადამიანს ეს უფლებანი. მწვანე მთებიცა და ხეირი კოროზმებიც, ვრცელი ველებიცა და მჩქეფარე მდინარეებიც თავისი ფლორითა და ფაუნით ჩვენი სამდიდრეა. ყოველივე ეს კარგ გუნებაზე აყენებს ადამიანს, უვთარებს სიყვარულს მშობლიური ქვეყნისადმი, უვითარებს ესთეტიკურ გემოვნებას.

ბუნების დაცვისა და მისი ფლორისა და ფაუნის გამრავლების საქმე მთელი საზოგადოებრივობის, მთელი ხალხის საქმეა. ეს განმტკიცებულია სახელმწიფოებრივი დოკუმენტით — კანონით „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია:

„ბუნების დაცვა წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ერთ-ერთ ამოცანას, სახელმწიფოს და მთელი საზოგადოებრიობის დიდ საზრუნავ საქმეს. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის მზარდი მატერიალური, კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, შრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობების შექმნა მოითხოვს მუდმივ და ყოველმხრივ მზრუნველობას ბუნების სიმდიდრეთა შენარჩუნების, აღდგენის, გამდიდრებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის“.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურად გამოყენებისა და გამრავლებისათვის, რომელებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ამ მიზნით მთავრობა ებრძვის მნიშვნელოვან სახსრებს, მაგრამ, საქართველოს შიდა წყალსატევები, რომლებიც წარსულში გაწყლიანი იყვნენ თევზის სიუხვით და ჭეშმარიტ დიდი სამეურნეო მნიშვნელობა, არადამაკმაყოფილებელ დგომარეობაშია. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ბრაკონიერები მტაცებლურად სპობენ თევზს ფეთქებადი და მომშავალელი ნივთიერებების, აგრეთვე თევზჭერის სხვა მავნე ხერხების გამოყენების გზით.

ტყუილად როდი ამბობენ ხალხში: თუ კაცს მშობლიური ბუნება არ უყვარს, იგი კეთილშობილი ვერ იქნებაო. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც არარად აგდებენ ამ ჭეშმარიტებას.

ვინ არიან ისინი, ვიზეადაც ზემოთ ვილაპარაკეთ. ესენი გაურკვეველი საქმიანობის ადამიანები არიან, მხოლოდ ვ. დანელიანი ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. ყველა ბრაკონიერს ჯერჯერობით მიეზღო. მუქთახორებსა და კანონის გამოუსწორებელ დამრღვევებს წალკის რაიონის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა ერთი წლიდან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ბრაკონიერთა მეორე ჯგუფის მავნე საქმიანობა ტრაგიკულად დამთავრდა. „საქსოფლტექნიკის“ ჩხოროწყუს განყოფილების ინჟინერმა ბ. ქებუჩარამ, ჩხოროწყუს ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა ო. პაპასკირმა და ამავე ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშამ ა. მალაშხიამ გადწყვეტეს თევზი დაეჭიროთ მდინარე ოჩხამურში ელექტროენერგიის საშუალებით. ამ მიზნით ბ. ქებუჩარამ გამოიძახა სპეციალური მანქანის მძღოლი ა. კვარაცხელია.

ადგილზე როცა მივიდნენ, ბრაკონიერებმა ამოუშავეს ავტომანქანაზე დადგმული ელექტროძრავა. მაგრამ თევზი ვერ დაიჭირეს, რადგან ელექტროძრავა სუსტი აღმოჩნდა. მაშინ ბრაკონიერებმა გადწყვიტეს სადენი შეეერთებინათ მაღალი ძაბვისათვის. სადენის ერთი ბოლო ა. მალაშხიას მისცეს და ეთხრეს გადასულიყო მდინარის მეორე ნაპირზე. წყალში ა. მალაშხიას დენმა დაჰკრა და ადგილზევე მოკლა.

ეს ფაქტი პარტიის ჩხოროწყუს რაიონული კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. ბიუროს სკკპ რიგებიდან გარიცხა ბ. ქებუჩარა და ო. პაპასკირი. ორივენი ამჟამად დაპატიმრებული არიან და მალე წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

ეი კიდევ ერთი მაგალითი. ამა წლის 8 მაისს თევზის დინამიტით ჭერის დროს დააკავეს გუდაუთის რაიონის სოფელ ახალი სოფლის მცხოვრები, გაურკვეველი სამქმიანობის პირი რ. ჭედია. მას აღმოუჩინეს და ჩამოართვეს ოთხი დეტონატორი და ცეცხლგამტარი ზონარი. გუდაუთის სახალხო სასამართლომ რ. ჭედიას მიუსაჯა ერთი წლის პატიმრობა მკაცრი რეჟიმით.

რა თქმა უნდა, თევზაობა კანონით ნებადართულია. მაგრამ ამისათვის გამოყოფილია გარკვეული ადგილები და დრო, ამასთანავე თევზაობა ნებადართულია გარკვეული საშუალებებით და არა მომწამვლელი და ფეთქებადი ნივთიერებებით, რომელთა გამოყენების დროსაც ისპობა ლიფსიტები. ბრაკონიერებს უნდა გამოვუცხადოთ უღმობელი ბრძოლა, უნდა აღკვეთოს თევზის ძვირფასი მარაგის მოსპობა.

მაგრამ, ბევრ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ გაუშლია ფართო განმარტებითი მუშაობა მშრომელებში ბრაკონიერთა ანტისახელმწიფოებრივი და ანტიხალხური მოქმედების შესახებ, მათ მიმართ არ ჰქმნია შეუწყნარებლობის ატმოსფერო, ახალგაზრდობას არ ზრდიან მშობლიური ბუნებისადმი სიყვარულის სულისკვეთებით.

შეიძლება ბევრი მაგალითის მოყვანა, როცა ბრაკონიერები არასრულწლოვანებიც ხდებიან. მაგალითად, მდინარე შავწყალაზე თევზის დინამიტით ჭერის დროს დააკავეს გუდაუთის რაიონის ოჩხამურის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლენი რ. გამყრელიძე და პ. ინბა.

ბამყრელიძის სახლის ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს და ჩამოართვეს 50 ცალი დეტონატორი და 20 მეტრი ცეცხლგამტარი ზონარი. ამისათვის ბრაკონიერის მამა მ. გამყრელიძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა, ხოლო რ. გამყრელიძისა და პ. ინბას შესახებ მასალები გადაგზავნა გუდაუთის რაიონის სახალხო სასამართლოს.

ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ სამართლიანად დაისჯნენ ბრაკონიერები. მაგრამ შეიძლება მოვიყვანოთ ფაქტები, როცა კანონის საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ დამრღვევებნი დაუსჯელნი რჩებიან. სასამართლოების ზოგიერთი მუშაკი ჯერჯერობა არ სჯის კანონის დამრღვევებს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში აღრიცხულია უკანონო თევზაობის 3.200-ზე მეტი შემთხვევა. ზოგიერთი პროკურორი სწორად არ იქცევა, როცა ჯერჯერვან აყურადღებას არ აქცევს ბრაკონიერთა საქმეებს. ისინი არ არკვევენ იმას, თუ როგორ შოულობენ ბრაკონიერები ფეთქებადი ნივთიერებებს, ვინ აძარაგებს მათ ამ ნივთიერებებით, არ აპროტესტებენ სასამართლოს ლმობიერ, მცდარ განაჩენებს.

პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ორგანოები მოწოდებული არიან კანონის მთელი სიმკაცრით დასჯონ იმ წესების დარღვევაში დამნაშავე პირები.

რაიონული საბჭოების აღმასკომები, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები, ფართო საზოგადოებრიობა დაუცხრომლად უნდა იბრძოდნენ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისათვის, იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ თევზაობის წესებს, საკანონმდებლო ნორმებს. ბრაკონიერობა, მუქთამ უნდა აღმოფხვრან. ბრაკონიერობა, არსებითად, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები არიან. მათ ფართო განმარტებითი მუშაობა უნდა აწარმოონ მოსახლეობაში, საზოგადოებრიობა დარაზმონ ბრაკონიერობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამისათვის საბრძოლველად, რომ ყოველი ღონისძიებით შეიწყოს ხელი ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეს, ბრაკონიერთა ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს! (საქდესი).

ბანკი

## ბანკი

### ბანკი

### ბანკი

###